

ახალი თემა



ჩელსი-ლივერპული გურიულ დარბის დარღილავს

ა3.9



სტატისტიკა, ფსონები

31.10 ჩელსი-ლივერპული	2.05	3.25	3.8
31.10 ხეტაფე-ბარსელონა	10.0	5.5	1.28
31.10 ვილიარეალი-სევილია	2.25	3.4	3.1
31.10 პერტა-გლადბახი	2.8	3.4	2.45
31.10 იუვენტუსი-ტორინო	1.55	3.6	6.0
31.10 ინტერი-რომა	2.8	3.3	2.5
31.10 სტ.ეტენი-რეიმსი	1.61	3.6	6.0
01.11 ბეტისი-ბილბაო	3.0	3.25	2.37
01.11 სოსიედადი-სელტა	2.75	3.2	2.6
01.11 ნანტი-მარსელი	4.0	3.1	2.05

შაბათი — კვირა, 31 ოქტომბერი — 1 ნოემბერი, 2015

№256 (6876)

ფასი: 30 თეთრი

სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობას ართმევენ



მარგველაშვილი:
„დაუშვებელია, უცხო
ქვეყნის მაღალჩინოსანი
ერეოდეს ქვეყნის შიდა
პოლიტიკაში“

ა3.5

სააკაშვილი: „როცა
დემოკრატიას კლავენ,
მას ფიზიკური დაცვა
სჭირდება“



„სააკაშვილის საუბრებს კოლონოისკი ინერს და ავრცელებს“

ა3.3



ტრისტან წითელაშვილი: „საქართველოში უკრაინიდან 30 მეტროლი ჩამოვიდა“



ბოქერია: „გამომიხილავს
ასეთ სისულელეზე
ივანიშვილის
დაკვეთით აწვალავენ“

ა3.3

სუსმა გიგა ბოკერია და ნიკა
გვარამია დაკითხა

ირაკლი სესიაშვილი: „გვარამიასა და ბოქერიას უნდა უხაროდეთ, თუ ჩანაწერები უკანონოა“

ა3.3



„ნაციონალური
მოძრაობა რუსთავი 2-ს
თავისი პოლიტიკური
მიზნებისთვის იყენებდა“

ა3. 3 რუსთავი 2 საზოგადოებრივ საბჭოს ქმნის

გიორგი ლაფერაშვილის
საგანგებო განცხადება





არჩილ გამყარდია: „რუსთავი 2-ის ჟურნალისტები გალავნიდან უნდა გამოვიდნენ“

„უნდა შეფასდეს, რას გეგმავდნენ გვარამია-ბოკერია-სააკაშვილი“



ნონა ცაბაძე

ფაქტები ჩანაწერებისა და მოსმენების თემა ყოველ ეთხედ გახდა აქტუალური. ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ხელისუფლება უკანონო მისმენებს ახორციელებს, საზოგადოების გახიზნული ნაწილი კი მიიჩნევს, რომ დამნაშავეს უნდა უსმინო, რომ სწორედ ამ ჩანაწერების გამოქვეყნებით გაიხიჯება, ხას გეგმავს ნაციონალური მოძრაობა.

ვის დასჭირდა აღნიშნული ჩანაწერების გამოქვეყნება? ექსპერტი არჩილ გამყარდია არ გამოირიცხავს, რომ ეს ჩანაწერები ინტერნეტსივრცეში თავად ნაციონალურების ერთმა ფრთამ ატვირთა.

— **წამსვლელი იყო იმ გეგმებზე ნაციონალური მოძრაობა, რომელზეც ლიდერები საუბრობენ სატელეფონო ჩანაწერებში?**

— ნაციონალური მოძრაობა სწორედ ასე მუშაობდა 9 წლის განმავლობაში. შეკითხვა, წამსვლელი იყო თუ არ იყო, არც დგება. რა თქმა უნდა, ის წამსვლელია ამაზე. ნაციონალური მოძრაობა სამი წელია, რეგანსისთვის ემზადება. უამრავი მცდელობა ჰქონდათ, მაგრამ ყველა ჩაუვარდათ.

გამყარდიას განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა ადამიანებს არ ალიქვამს ადამიანებად. მათ ალიქვამს, როგორც ტანჯიკს საკუთარი ინტერესების მოსარგებლად.

— დღეს ისინი ოპოზიცია არ არიან. ისინი არიან ყოფილი ხელისუფლება, რომელიც რეგანსით აპირებს დაბრუნებას, — აცხადებს ექსპერტი.

— **გვარამია და ბოკერია ჩანაწერების გავრცელების შემდეგ აცხადებენ, რომ არ აპირებდნენ სააკაშვილის ამ მითითებების გაზიარებას. თავს იმართლებენ თუ ემიჯნებიან მას?**

— ჩემთვის ეს არადამაჯერებელი ახსნაა. ბოლო დღეების განმავლობაში ისინი მუდმივად ცდილობდნენ დესტრუქციების შექმნას, უბრალოდ,

ამას ვერ ახერხებდნენ, თუმცა, რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ნაციონალური მოძრაობაში არსებობს ბოკერიას გუნდი და სააკაშვილის გუნდი.

— **ამით რისი თქმა გსურთ?**

— სააკაშვილი და მისი გუნდი ამ დესტრუქციებისა და ქაოსის ბევრად უფრო მომხრეა, ვიდრე ბოკერია. ბოკერიას უფრო სხვა შეხედულებები აქვს. ამ ამბებსაც ვიგებ ხოლმე შიგნიდან. გამყარდია არ გამოირიცხავს, რომ ეს ყველაფერი ბოკერიას ფრთის გაკეთებული იყო, იმისთვის, რომ სააკაშვილის დაჯგუფება ჩამოიშოროს და სულ სხვა ფორმით გააგრძელოს საქმიანობა.

— ეს ე.წ. მესამე სექტორის წარმომადგენლები, იგივე ელენე ხოშტარია, ეკა გიგაური და კიდევ სხვები ბევრს შეიძლება, არ ახსოვს, მაგრამ ნაციონალურების ხელისუფლებაში ყოფნის დროს თანამდებობის პირები იყვნენ, კი დღეს საეჭვოდ შეცვალეს რიტორიკა. ამან გააჩინა აზრი, ეს ყველაფერი ხომ არ არის მიზანმიმართული.

— აცხადებს გამყარდია.

— **მიზანმიმართული ანუ?**

— ხომ არ არიან თავადვე დაკავშირებული ამ ჩანაწერების გავრცელებასთან. ერთი ფრთა მეორის წინააღმდეგ.

— **ეს რაში უნდა სჭირდებოდეთ?**

— თუ დავუშვებთ ვერსიას, რომ ნაციონალური მოძრაობაში არსებობენ დომინანტი ჯგუფები და ერთ-ერთი ჯგუფი ცდილობს, გაცხრილოს დანარჩენი და თვითონ გამოვიდეს წინ, ამ შემთხვევაში ბოკერიას ფრთას ვგულისხმობ, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ყველაფერს იმისთვის აკეთებენ, რომ ისინი წავიდნენ სააკაშვილის წინააღმდეგ, გახადონ ბოლომდე პარალიზებული და დისკრედიტებული, რომ მას მოქმედების საშუალება აღარ ჰქონდეს.

სააკაშვილი უცხოეთშია, კომფორტულად გრძნობს თავს და აქ ქაოსს შექმნის თუ არეულობას, ეს სულ არ ადარდებს, ამ ფრთას კი მისი ეს დამოკიდებულება აღიზიანებს.

— **ანუ არ გამოირიცხავთ, რომ ჩანაწერები თავად ნაციონალურმა გაავრცელეს?**

— ასეთი ლოგიკის პირობებში ამის დიდი თეორიული შესაძლებლობა ჩნდება. არის მოტივი, რის გამოც შეიძლება გავრცელებულიყო ეს ჩანაწერები. ნაციონალური მოძრაობაში დომინირებული ჯგუფები ხან ერთმანეთს

ემიჯნებოდნენ, მერე ისევ უახლოვდებოდნენ, არც ის არის გამორიცხადი, რომ ერთ დღესაც ისევ შეტრიალდნენ სააკაშვილისკენ და ისევ ერთიან ძალად მოგვევლინონ.

გამყარდიასთვის ძნელი დასაჯერებელია, როდესაც სატელეფონო საუბარში ამხელა არეულობას, სისხლისღერასა და ქაოსს ერთად გეგმავდნენ, დღეს კი აცხადებენ, რომ უბრალოდ უსმენდნენ სააკაშვილს, ამის განხორციელება აზრადაც არ მოსვლიათ.

ექსპერტის შეფასებით, ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო ამაზრუნენი ხდება მათი მოქმედება თავიანთი პარტნიორის მიმართ.

— ეს ასევე ამაზრუნენი თამაშია, გამოდის, რომ ერთმანეთს უჩაღიჩებდნენ, — აღნიშნავს ექსპერტი.

— **სამართლებრივ მხარეზე რას იტყვიან? ნაციონალურების დროს არაერთი ადამიანი გასამართლდა სახელმწიფო გადატრიალების მუხლით სწორედ სატელეფონო ჩანაწერებზე დაყრდნობით. არ უნდა მიეცეს ამ ყველაფერს სამართლებრივი შეფასება?**

— მე კონსულტაციები გავიარე ამ საკითხზე იურისტებთან. იმისთვის, რომ ამაზე საქმე აღიძრას, ჯერ ამ ჩანაწერების კანონიერება უნდა დადგინდეს. თუკი ეს არ დადგინდა, შესაძლოა, მასზე სამართლებრივად რეაგირება ვერ მოხდეს.

გამყარდია ამ საკითხის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მის პოლიტიკურ მხარეს მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება მართებს რუსთავი 2-ის ყველა თანამშრომელს.

— რამდენად უღირსი მათ ეს ყველაფერი? — კითხულობს გამყარდია და იქვე განაგრძობს, — მათ ჰგონიათ, რომ იცავენ სიტყვის თავისუფლებას და სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ისინი, უბრალოდ, არიან ინსტრუმენტები, რომლებსაც იყენებენ ბოკერია, გვარამია და სააკაშვილი ერთად, ცალ-ცალკე თუ ერთმანეთის წინააღმდეგ!

ექსპერტს მიაჩნია, რომ რუსთავი 2-ის მთლიანად შემადგენლობაში პროტესტის ნიშნად უნდა დატოვოს ეს ტელევიზია, რათა მომავალში მუშაობა მშვიდი სინდისით განაგრძოს.

— **თქვენ აცხადებთ, რომ რუსთავი 2-ის ჟურნალისტებს იყენებენ?**

— მართო მე კი არა, ძალიან ბევრი საუბრისთვის იმის თაობაზე, რომ რუსთავი 2-ის ჟურნალისტებს ცუდი მიზნებისთვის იყენებენ.

— **იქნებ ხელისუფლების ინტე-**



რესებში შედიოდა ამ ჩანაწერის გავრცელება? ამბობენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაც მალე გახდება ცნობილი. სწორედ ამას ხომ არ უკავშირდება ყველაფერი?

— ნაციონალური მთელი თემა ამბობენ, რომ აი დღეს გამოვა გადაწყვეტილება, დღეს დაიხურება რუსთავი 2, თუმცა მსგავსი ჯერ არაფერი მოხდა. ადრე თუ გვიან გადაწყვეტილებას გამოიტანს მოსამართლე. აჩქარებული ტემპით მიდის სასამართლო, ჩივიან ნაციონალური, თუმცა, მე რომ მკითხოთ, ეს ქეისი იმდენად მარტივია, რომ დღევანდელ მფლობელებს არ ეკუთვნის რუსთავი 2 და მათ უნდა ჩამოერთვათ, რომ ამდენი ხანი არც უნდა გაგრძელებულიყო ეს პროცესი.

— **რას იტყვიან პრეზიდენტის დამოკიდებულებაზე ამ ყველაფერთან დაკავშირებით? რამდენად არის სამოქალაქო დაპირისპირებისა და პროცესის კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლის საფრთხე?**

— პროცესის კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გაყვანას აპირებს ერთი კონკრეტული დაჯგუფება. სწორედ ნაციონალური მოუწოდებენ მოსახლეობას კანონიდან გასვლისკენ, თუმცა მათ არანაირი საზოგადოებრივი მხარდაჭერა არ გააჩნიათ. კანონისა და კონსტიტუციის წინააღმდეგ წასვლის ნიშნები არის, მაგრამ პრეზიდენტის მხრიდან ამ კვალიფიკაციის მიცემა იყო ამორალურიც, არასწორიც, არაკონსტიტუციურიც და მეტიც, საზოგადოებრივი დაძაბულობის ხელშეწყობაც.

— **შეცდომაში იქნა შეყვანილი პრეზიდენტი თუ რატომ წავიდა ის ამ ნაბიჯზე?**

— მის ერთნაირი ტექსტში ბევრი შეცდომა გაიპარა: პირველი, რომ სასამართლოს მოუწოდა და სამარ-

თლებრივად მას ამის უფლება არ ჰქონდა. ამავე მომენტებში პრეზიდენტმა გამოხატა, რომ ის არ ენდობა სასამართლოს. მან ამით ამ ინსტიტუტის დისკრედიტაცია მოახდინა.

პრეზიდენტს არ ეგადრება, რომ იმუშაოს სასამართლო ინსტიტუტის წინააღმდეგ. პირიქით, მის პატივისცემაზე უნდა აკეთებდეს აქცენტებს და არა — უპატივცემულობაზე. სამოქალაქო დაპირისპირების კვალიფიკაცია მისი მხრიდან მანველური ქმედება იყო! თავიც წამოართყა პრემიერს, როდესაც მასზე მეტი შეცდომა თვითონ დაუშვა.

გამყარდიას თქმით, პრეზიდენტს ბევრი დამცველი გამოუჩნდა, რომლებიც აცხადებენ, პრეზიდენტს ეს არ უგულისხმია, თუმცა ექსპერტს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ერთნაირი განცხადება ამხელა ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

გამყარდიას აზრით, პრეზიდენტი ამგვარ პროცესებში უნდა ჩაერთოს ძალიან ფრთხილად და სწორად ან საერთოდ არ უნდა ჩაერთოს.

— **რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ხელისუფლების მხრიდან ამ სიტუაციიდან გამომდინარე?**

— პირველ რიგში, უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ურთიერთობების სწორად წარმოება, კარგად უნდა ითარგმნოს იმ ჩანაწერის ტექსტი, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ, გადაეგზავნოს უცხოელებს, დიპლომატიის წარმომადგენლებს, სააკაშვილის პარტნიორებს, რომლებსაც სააკაშვილი იდიოტ უცხოელებად მოიხსენიებს.

ყველაფერი კარგად უნდა იქნეს გააზრებული, გამოიყენებული, პასუხა-ცემული და, თუკი ეს დანაშაულის ნიშნებს შეიცავს — შესაბამისად რეაგირებული.

რუსთავი 2-ის საინფორმაციო სამსახური: „ვემიჯნებით ნაბიშიერ კალაღობრივ სენსაციას“



30 ოქტომბერს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საინფორმაციო სამსახურმა 29 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

ტელეკომპანიის განცხადება საზოგადოებას კურიერის წამყვანმა ზაალ უდუმაშვილმა გააცნო.

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით ნებისმიერი სახის ძალადობრივი სცენარის განვითარებას. ჩვენი საზოგადოებრივი პოლიტიკა არ უკავშირდება არცერთი პოლიტიკური ძალის მიზნებს და ჩვენი მიზანია მხოლოდ ის, რომ მოგვეცეს საშუალება, სრულფასოვნად შევასრულოთ ჟურნალისტებზე დაკისრებული მოვალეობები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ობიექტურად გაშუქებას გულისხმობს, — ნათქვამია განცხადებაში.

ზაალ უდუმაშვილი ამბობს, რომ მათთვის კატეგორიულად მიუღებელია

ნებისმიერი სახის ძალადობრივი ქმედება, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ინიცირებული.

— ამ შემთხვევაში სწორედ ჩვენ ვართ ფიზიკური ანგარიშსწორების საფრთხის ქვეშ. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება აცილებული თავიდან ძალადობრივი ქმედებები, ასეთი საფრთხის არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად ხელისუფლებას დაეკისრება, — ნათქვამია განცხადებაში.

ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახური მოითხოვს, ხელისუფლებამ განმარტოს ამ ჩანაწერების წარმომავლობა, მოპოვების კანონიერება და ის, თუ როგორ მოხვდა ეს აუდიომასალა უკრაინულ ინტერნეტსივრცეში, ასევე, რატომ არ გაასაჯაროვა ეს ჩანაწერი.

ბი მათი მოპოვებისთანავე, რამდენადაც ჩანაწერებიდან, საგარეულოდ, ცნობილი ხდება, რომ, შესაძლოა, მათი შინაარსი ამ ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ყოფილიყო.

— ჩვენ ვაცხადებთ, რომ შევინარჩუნებთ დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკას და გვინდა, ყველას შევასვენოთ, რომ ჩვენი და თავისუფალი სიტყვის დაცვის ერთადერთი საშუალება მხოლოდ კამერა და მიკროფონია. მოვუწოდებთ სამაშინებლო კომპანიის ხელმძღვანელობას, შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად არ დაუშვას ტელეკომპანიის ტერიტორიაზე უცხო პირები, მათ შორის ჩვენი მხარდამჭერები, — ნათქვამია განცხადებაში.

ახალი თარიღი

გაზეთი
გამოცემის
1993 წლის
23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაჭყალიძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიშვილი, დავით ყიფიანი
საგინანო სამსახური — ჯორა ბაღვაძე

დაკავალდება — ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, შინა ქაქაშვილი

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გაფრეცვლების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



„სააკაშვილის საუბრებს კოლონოისკი ინერს და ავრცელებს“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ იწეხს ნაციონალების სატელეფონო საუბრებს, ხა სია გადაეცა მთავაჰ ჰხოუეხაუეხას, ხა შტაბი შეიქმნა უეხაინაში, ხა სეცენაჰით ენდა ნაჰმაჰთეიუო ახეელობები თბილისში? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი კიხისტან ნითედაშვილი ესაუბრება.

ტრისტან ნითელაშვილი:
— დაახლოებით წელიწადზე მეტია, რაც ნაციონალების მხრიდან გადატრიალების სამზადისზე ვსაუბრობ. აქამდე ცოტას თუ სჯეროდა ჩემი. ახლა ხომ მაინც დაიჯერეთ, რომ ეს გველური ქვეყანაში არეულობის მოწყობას აპირებენ?! ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებაა დაწყებული, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სატელეფონო საუბრები, რომლებიც უკრაინული მედიით გავრცელდა, ნამდვილია. ამას არც საუბრის მონაწილე პირები უარყოფენ.

— ეს საუბრები თავიდან უკრაინულმა მედიამ გამოაქვეყნა. საიდან მოხვდა მათ ხელში ეს ჩანაწერები და რა მიზნით ხდება მათი გამოქვეყნება?

— უკრაინაში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და მათგან ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიღებ. მათი ინფორმაციით, უკრაინელი ხალხი სააკაშვილის წინააღმდეგ აჯანყებისთვის ემზადება. ცოტა ხნის წინ ადგილობრივ მედიაში პატიმართა წამების კადრები გავრცელდა. ამით უკრაინელებს დაანახეს, რა საშინელი ტირანია სააკაშვილი. ამ ყველაფერს ორგანიზებას უკეთებს დნეპროპეტროვსკის ყოფი-

ლი გუბერნატორი კოლომოისკი. წინა ინტერვიუში გითხარით, რომ მას წამების ამსახველი კადრები საქართველოს ხელისუფლების ყოფილმა წარმომადგენლებმა მიაწოდეს.

— საუბრის ჩანაწერი ვინ მიაწოდა?

— მას აქვს ძალიან დიდი ფული და შეუძლია, თავის ოპონენტზე ყველაფერი გაიგოს. მან სპეცსამსახურებს გადაუხადა ფული და მათგან მიიღო ჩანაწერები. არც იმას გამოვიტყვავ, რომ კოლომოისკი საკუთარი არხებით უშენდეს სააკაშვილს. ამ ადამიანს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მოსასმენი აპარატურა შეიძინოს. კოლომოისკის აქტიურობამ უკვე გამოიღო შედეგი.

— შედეგში საქართველოს ხელისუფლების მიერ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს გულისხმობთ?

— ესეც მნიშვნელოვანია, მაგრამ უკრაინაშიც საინტერესო პროცესებია. წამების კადრების გამოქვეყნებამ შედეგი გამოიღო და ოდესის მერის არჩევნებში გუბერნატორის ფავორიტი დამარცხდა. სულ ახლახან ოდესაში მშვიდობიან მომიტინგეთა ჯგუფები შეიქმნა, რომლებიც სააკაშვილის რეზიდენციის პიკეტირებას გეგმავენ.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ სააკაშვილს კოლომოისკი უსმენს. ის ადამიანი რუსეთის სპეცსამსახურებთან არის რაიმე კავშირში? ოდესის გუბერნატორი ამბობს, რომ მის პუტინის სპეცსამსახურები უსმენენ.

— კოლომოისკიზე რა გითხრათ, მაგრამ თავად სააკაშვილი ნამდვილად არის პუტინის სპეცსამსახურების ღრმა დაშიფვრის აგენტი. მისი მოსმენა პუტინს არაფერში სჭირდება, რადგანაც თავად აძლევენ დავალებებს და იციან, რა უნდა გააკეთოს მიშამ.

ძალიან მიკვირს, რატომ დაავიანა საქართველოს ხელისუფლებამ ასე ძალიან რეაგირება. სააკაშვილი თავის ყველა გამოსვლაში ღიადა აცხადებდა, რომ აქ გადატრიალების მოწყობას აპირებდა. არაერთხელ გითხა-

რით, რომ მას უკრაინაში საქართველოს განმათავისუფლებელი შტაბი აქვს შექმნილი, სადაც თავმოყრილი არიან საქართველოდან გაქცეული ზონდერები.

იქვე არიან გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიგა კალანდაძე და ბაჩანა ახალაიას ყოფილი მრჩეველი მამუკა მამულაშვილი. ყველაფრის ორგანიზება მათ ევალებათ.

— ყველაფრის ორგანიზებაში რას გულისხმობთ?

— ხდება ამ ზონდერების თავმოყრა და განვრთნა. მათვე ევალებათ ამ ხალხის საქართველოში გადმოყვანა. ამ დღეებში გავრცელებულ საუბრებში ბოვიკების შემოყვანაზეა საუბარი. მინდა, თქვენს მკითხველს ვუთხრა, რომ ეს მეზობლები უკვე საქართველოში არიან.

ეს ის ხალხია, რომლებმაც მაიდანის პროცესებში მიიღეს მონაწილეობა და ცოტა ხანი ომშიც იყვნენ, რის შემდეგაც სააკაშვილის მიერ შექმნილ შტაბში გაიარეს გადამზადება. მათი ნაწილი უკვე საქართველოშია. ისინი ეტაპობრივად ჩამოადიოდნენ აქ. ამის შესახებ მე ხელისუფლებას არაერთხელ მივმართე.

— თქვენთვის მათი ვინაობა ცნობილია?

— ცნობილია. მათ შესახებ ინფორმაცია ჩემმა უკრაინელმა კოლეგებმა მომწოდეს. საქართველოში დაბრუნებული მეზობლების სია სათანადო ორგანოებს უკვე გადაეცემა.

— მათ გაატარეს რაიმე ღონისძიებები?

— სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. ისინიც ასე ნელ-ნელა ჩამოდიან საქართველოში. 3-3 კაცი შემოდის ქვეყანაში.

— ასე ნაწილ-ნაწილ რატომ შემოდის?

— ეს არის შენიღბვის მეთოდი. არ უნდათ, რომ თვალში ეცნენ ვინმეს. ჩამოსვლა რამდენიმე თვის წინ დაიწყო და ახლა ნაცმომარაობის ოფისებში



ტრისტან ნითელაშვილი: „საქართველოში უკრაინიდან 30 მეზობელი ჩამოვიდა“

სხედან ჩვეულებრივი მოქალაქეებივით.

— შეგიძლიათ, ჩამოსული მეზობლების რიცხვი დაასახელოთ?

— ჩემს ხელს არსებული ინფორმაციით, 30 კარგად მომზადებული მეზობელია აქ ჩამოსული.

— ყველა მათგანი ქართველია?

— ყველა ქართველია. ისინი აქ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდნენ, იყვნენ ზონდერები და სააკაშვილის ბინძურ დავალებებს ასრულებდნენ.

— თქვენ თქვით, რომ 30 კაცია ჩამოსული. 30-მა მეზობელმა რა გადატრიალება უნდა მოახდინოს, ყველა მათგანი რემოც რომ იყოს?

— 30 მეზობელი, ცხადია, ვერ მოახდინებს გადატრიალებას, მაგრამ არეულობის დაწყება შეუძლიათ. ესენი დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსთავე 2-ის დასაცავად ბევრი ხალხი მივიდოდა. ასე თუ მოხდება, ისინი გაერევიან ხალხში და დაიწყებენ პროვოკაციების მოწყობას. საქმეში ჩაერევიან სამართალდამცემები. რამდენიმე ნაზონდერალი პოლიციის ფორმაში იქნება გადაცემული და ის ხალხის მიმართულებით გახსნის ცეცხლს. ამას დიდი აშკარა მოჰყვება.

მსგავსი არეულობის მოწყობა მათ რამდენჯერმე ცადეს — გასული წლის ნოემბერში, მიმდინარე წლის მარტში. არცერთი არ გამოუვიდათ. ახლა გეგმაში ეს შემოდგომა აქვთ და არეულობა რუსთავე 2-ის გარშემო უნდა მოახდინონ. შექმნეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საფრთხე ემუქმება სიტყვის თავისუფლებას და დამოუკიდებელი ტელეკომპანია იხურება. მე, როგორც სამხედრო ექსპერტი, გეტყვით, რომ რუსთავე 2-ის შენობა უკრაინაში არსებული გასამხედროებული შტაბის ფილიალია. ამ შტაბში საქართველოში დარჩენილი პირები არიან თავმოყრილი. ეს ხალხი დღემდე მუშაობს სხვადასხვა სამინისტროში.

ყველაფერი იგივემგზავს უკრაინაში, დირექტივებს სააკაშვილი იძლევა. ამ დირექტივებს ის გიგა ბოკერიას აწვდის. მათ მიერ დაიგეგმა ახალი პროვოკაცია და ყველაფერი გააკეთეს, რომ ხალხი ქუჩაში გამოეყვანათ.

— ამ საუბრების გავრცელების შემდეგ ჩავარდა ეს გეგმა?

— არ ჩავარდნილა. დამიჯერეთ, ნაციონალების მხრიდან წინ კიდევ ბევრი სიურპრიზი გველოდება.

ბოკერია: „გამომოძიებლავს ასეთ სისულელეზე ივანიშვილის დაკავთით აწვალახან“

სუსმა გიგა ბოკერია და ნიკა გვარამია დაკითხა

30 ოქტომბერს სახელმწიფო უშიშოების სამსახურში ნაციონალური მოძრაობის ლიდერი გიგა ბოკერია და ხუთთვი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია დაკითხნენ.

დაკითხვის შემდეგ გვარამიამ განაცხადა, რომ ის დაკითხვა გამოქვეყნებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, რომლის გამოძიებაც მიმდინარეობს 315-ე მუხლით, რამდენიმე დღის წინ აღძრული საქმის ფარგლებში. მისი თქმით, საქმეს ადევს გრიფი „საიდუმლო“.

— კითხვებს ვერ გავაშვებ, რადგან საქმეს ადევს გრიფი „საიდუმლო“ და გავაფრთხილებ, რომ ამასთან დაკავშირებით ვისაუბროთ მხოლოდ ზოგადად. მთავარი პრობლემა, რაც გამოიძიებას ამ ეტაპზე აქვს, ეს არის მიხეილ სააკაშვილთან ჩემი საუბრის სრულიად არასწორი ინტერპრეტაცია. როგორც ჩანს, ძალიან ჭრიტ ტერმინები ყურს. მაგალითად ისეთი, როგორიც არის „ბოვიკი“, „რევოლუციური სცენარი“. შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ესამუშეა ყურს, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ აქ არავინ გულისხმობს სახელმწიფო გადატრიალებას, — აცხადებს ნიკა გვარამია.

მისი თქმით, აქ საუბარია რუსთავე 2-ის დაცვაზე, ანუ ქმედებებზე, რომლებიც რეაქციულია თავისი სახით და არა პროაქტიურ ქმედებებზე, რომლებიც გულისხმობს სახელმწიფო გადატრიალებას, ან სადმე შეჭრას და



ხელისუფლების ხელში ჩაგდებას.

— როგორი ფორმებით ფიქრობენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები სიტყვის თავისუფლების დაცვას, ეს მათი არჩევანია. მე ყველას შემიძლია მოვუსმინო, ხოლო რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, ეს რუსთავე 2-ის გადასაწყვეტია. ჩვენ არც ბარიკადები გვაქვს, არც „ბოვიკები“ გვყავს ეზოს ირგვლივ დასაცავად. ჩვენ ვმუშაობთ ისე, როგორც ვთვლით საჭიროდ და ბოლომდე დავიცავთ ჩვენ ინტერესებს და სიტყვის თავისუფლებას, — აღნიშნა გვარამიამ და დაამატა, რომ რამდენადაც შინაარსიდან ხვდება, ეს არის 19 ოქტომბრის ჩანაწერი.

*** მოგვიანებით დაკითხვიდან გიგა ბოკერიაც გამოვიდა.

ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის დაკითხვა 8 საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

დაკითხვის დეტალებზე ბოკერიამ ვრცლად არ ისაუბრა, თუმცა აღნიშნა, რომ დაწყებული გამოძიება

უსაფუძვლოა.

— რაც თქვენ, ჟურნალისტებს და საზოგადოებას არაერთხელ გაქვთ მოსმენილი, იგივე მოისმინეს გამოძიებლებმა, რომლებსაც ასეთ სისულელეზე ივანიშვილის დაკვეთით აწვალეს და დროს აკარგვინებენ, — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მისი თქმით, მათი ამოცანაა, ივანიშვილს არ მისცენ უფლება, რომ ქვეყანა კონსტიტუციის ფარგლებიდან გაიყვანოს.

— ჩვენი ამოცანაა, რომ ის არჩევნები დავამარცხოთ, მაგრამ ჩვენ მას არ მივცემთ საშუალებას, ძალადობის მეშვეობით ჩაახშოს ის ინსტიტუტები, რომლებიც იცავს ჩვენს თავისუფლებას. ამ ვითარებაში პირველ რიგში არის რუსთავე 2. თუ ის გაავრცელებს იმ ნაბიჯებს, რასაც ვხედავთ ბოლო პერიოდში, გულისხმობს კონსტიტუციის დაზიანებას და საზოგადოების მიერ დაკვეთილი განაწინი ძალადობრივ აღსრულებას, ამას ჩვენ არ დავუშვებთ, — აღნიშნა ბოკერიამ.

რუსთავე 2 საზოგადოებრივ საბჭოს ქმნის გიორგი ლაფერაშვილის საგანგებო განცხადება



რუსთავე 2-ში საზოგადოებრივი საბჭო იქნება, რომელიც ტელეკომპანიის მიერ მომზადებულ პოლიტიკურ და ანალიტიკურ გადაცემებს კონტროლს გაუწევს.

ამის შესახებ ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ლაფერაშვილმა 30 ოქტომბერს საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

— ბოლო ორი დღის განმავლობაში განვითარებულმა პროცესებმა შესაძლოა კითხვები გააჩინა ჩვენს სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ ვქმნით საზოგადოებრივ საბჭოს, რომელიც კონტროლს გაუწევს პოლიტიკურ და ანალიტიკურ გადაცემებს, რომელთაც რუსთავე 2 ამზადებს.

ეს ინიციატივა განვიხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე. ასევე განვიხილეთ ეს საკითხი არხის ხელმძღვანელობასთან და დამფუძნებლებთან და მივიღეთ ამ შეთანხმებამდე, — განაცხადა ლაფერაშვილმა.



სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

ერტიფიცირებული და სტაჟირებული მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-ისრეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისკოზია, ხერხემალი დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ძალბატონი ფიქრია



სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობას ართმევენ



შორენა მარსაგიშვილი

ოფისის გეზეხნაჰოი მაგაჰი შაჰშია, მიხეილ სააკაშვილი შესაძლოა საქართველოს მოქალაქეობას დაემშვიდობოს. საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანის ინფორმაციით, სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამოხტმევის ჰიოცედესა დაინყო.

პროცედურის დაწყებას წულუკიანი საქართველოს კონსტიტუციით ხსნის.

მისი თქმით, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვება წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველს.

მინისტრის თქმით, 2015 წლის 30 მაისს, ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია სააკაშვილის მიერ უკრაინის მოქალაქეობის მოპოვების თაობაზე. ეს ინფორმაცია ოფიციალურად არც დადასტურებულა და არც ვინმეს უარუყვია. ამიტომაც დაინყო სააკაშვილის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურა.

ამასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიხეილ სააკაშვილსაც მიეცემა. საბოლოო სიტყვა პრეზიდენტს ეკუთვნის.

წულუკიანის მიერ გავრცელებულ ცნობას მალევე მოჰყვა შეფასებები.

არავინ უარყოფს, რომ ამ პროცედურის დაწყება 2 დღის წინ გავრცელებულ აუდიოჩანაწერის უკავშირდება, რომლის თანახმადაც სააკაშვილი გიგა ბოგერიას და ნიკა გვარამიას არეულობის მოწყობაზე ესაუბრება.

ამ თემებთან დაკავშირებით საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ დაუშვებელია, უცხო ქვეყნის მაღალჩინოსანი ეროვნულ ქვეყნის შიდა პოლიტიკაში და გეგმავდეს რაიმე ტიპის არეულობას.

— მიწა ყველას შეგახსენოთ და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართველი ხალხის მიღწევა არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლაა და ეს კურსი შეუტყვევადია. რევოლუციური სცენარების ეპოქა საქართველოში დამთავრდა, ხოლო ის, ვინც ამ გზით გეგმავს პროცესებს, მთლიანად მონაცვტილია საზოგადოებას და პოლიტიკურ რეალობას. არაერთხელ მითქვამს და სამწუხაროდ, მიწევს გავიმეორო, რომ დაუშვებელია, უცხო ქვეყნის მაღალჩინოსანი ეროვნულ ქვეყნის შიდა პოლიტიკაში და გეგმავდეს რაიმე ტიპის არეულობას, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მან პოლიტიკოსებს შეახსენა, რომ ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უზენაესი ღირებულებაა და ამით თამაში დაუშვებელია.

— კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მოქალაქეებს სიმშვიდისკენ, დარწმუნ კონსტიტუციურ ფარგლებში და არ აყენენ ავანტიურებს. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ვრჩები კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების და მედიის დამოუკიდებლობის გარანტად, — აღნიშნა პრეზიდენტმა. პარლამენტის სპიკერის, იურისტ დავით უსუფაშვილის განმარტებით, სახელმწიფოს მიხედვით სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესაძლებლობა არ აქვს.

ჟურნალისტებთან საუბრისას უსუფაშვილმა ყურადღება კონსტიტუციის იმ ჩანაწერზე გაამახვილა, რომლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება სხვა ქვეყნის მოქალაქე იყოს.

მარგველაშვილი: „დაუშვებელია, უცხო ქვეყნის მაღალჩინოსანი ეროვნულ ქვეყნის შიდა პოლიტიკაში“



სააკაშვილი: „როცა დემოკრატიას კლავენ, მას ფიზიკური დაცვა სჭირდება“

— თუკი ვინმე სხვა ქვეყნის მოქალაქე ხდება, ამით ის თანხმდება იმაზე, რომ აღარ უნდა საქართველოს მოქალაქეობა. ეს არის ადამიანის, ინდივიდის გადასასწაველი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მიხეილ სააკაშვილმა. არა მგონია, სახელმწიფოს ჰქონდეს შესაძლებლობა, მას შეუნარჩუნოს ის, რასაც კონსტიტუცია კრძალავს. არა მგონია, რომ აქ გარდა ტექნიკური გადაწყვეტილებისა, რაიმე არსობრივ-პოლიტიკური საკითხია გადასასწაველი. მოქალაქეობიდან გასვლა ადამიანის უფლებაა, — აცხადებს სპიკერი.

ეს ყველაფერი კი რუსთავი 2-ის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს უკავშირდება. დავით უსუფაშვილი ტელეკომპანიის გარშემო მიმდინარე პროცესებით გაოცებულია. მას რუსთავი 2-ის ამჟამინდელი მფლობელების გამოუჩენლობა აწუხებს.

მისივე აზრით, რა მიმართულებითაც არ უნდა იყურებოდეს რუსთავი 2 და რა ღირებულებებსაც არ უნდა აღიარებდნენ მისი ხელმძღვანელები თუ ჟურნალისტები, მათ აქვთ უფლება, იმუშაონ.

დავით უსუფაშვილი:
— 29 ოქტომბერს გავრცელებულ ჩანაწერებს ემიჯნება ყველა, გარდა მიხეილ სააკაშვილისა. ყველა ამბობს, ჩვენ არაფერს ვეგეგმავდით. არ ვიცო, ესე იგი მხოლოდ სააკაშვილი გეგმავდა რაღაცას და მისი პარტია აღარ ემორჩილება?! არ ვიცი, ეს როგორ არის. ამ საქმის პოლიტიკური მხარე სრულიად ნათელია. ამ ყველაფერში მნიშვნელოვანია, რომ მედია არ დაზარალდეს.

უსუფაშვილს აოცებს, რომ ამ თემაზე ყვე-

ლა საუბრობს, გარდა იმ ხალხისა, ვისაც საკითხი ეხება.

— პირველ რიგში მაინტერესებს, ეს ხალხი არსებობს ბუნებაში, ისინი რეალურად ამ ტელევიზიის პატრონები არიან, თუ აღარ არსებობენ და უარი აქვთ ნათქვამი?! თუ ასეა, მაშინ სამართლებრივადაც და პოლიტიკურადაც სხვა სურათი და ვითარება გვექნება. ყველა რაღაცას ლაპარაკობს, რაღაცას ცდილობს — დაცვას თუ პოზიციების სხვა ფორმებით გამოხატვას, გარდა იმ ხალხისა, ვისაც ეს ეხება, — ხაზს უსვამს პარლამენტის თავმჯდომარე.

მისი თანამცხედრე და, ამავე დროს, ქვეყნის თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ამბობს, რომ ახლა ისეთი განცხადებები უნდა გაკეთდეს, რომლებიც სიმშვიდისკენ მოუწოდებს ადამიანებს.

მინისტრის თქმით, რუსთავი 2-ის ჟურნალისტებსაც ბევრი აქვთ ამ მიმართულებით გასაკეთებელი, რადგან ამ სიმშვიდის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხაზი ახლა მათზე გადის. ხიდაშელი სააკაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით მოუთმენლად ელის პასუხს უკრაინიდან.

თინა ხიდაშელი:
— ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ არ გვაქვს უკრაინის ოფიციალური ხელისუფლების პოზიცია. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ამჯერად მაინც კეთილს ინებებენ და გავიგებთ, რაზეც საუბრობს მათი ერთ-ერთი ოქსის გუბერნატორი — ეს არის უკრაინის სახელმწიფოს პოზიცია, თუ ეს არის ერთი არასრულფასოვანი ადამიანის განცხადება, რომელიც, როგორც ჩანს, თავს ძალიან უბედურად თვლის, რომ აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი, პატრონი და მესაკუთრე.

ოფისის ოქსის გუბერნატორის თანაპარტიელები ყოველგვარ ძალადობას და გადატრიალებებს ემიჯნებიან. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის მტკიცებით, პარტია არ გეგმავდა, არ გეგმავს და არ დაგეგმავს არანაირ ძალადობას.

მისივე თქმით, ბრძოლა თავისუფალი სიტყვის დაცვად მხოლოდ კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში გაგრძელდება.

— პირველ რიგში, კითხვა უნდა დაისვას იმაზე, თუ რატომ მივიდა ქვეყანა აქამდე, რატომ შეიქმნა ეს დაძაბული ვითარება, რატომ მივედით ამ კრიზისამდე. პასუხი არის ერთადერთი და მარტივი — ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ დღეს ჩვენ თვალწინ მთავრობა ცდილობს, რუსთავი 2 ხელში ჩაიგდოს.

მთავრობა ხალვაშის და მოსამართლე ურთმედიის ხელით ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას, დემოკრატიას და თავისუფლების ფუნდამენტს ებრძვის. ამან საზოგადოება და ქვეყანა სერიოზული დაპირისპირების რისკის წინაშე მიიყვანა, — ამბობს ბაქრაძე.

იმის დასტურად, რომ ნაცემოში მშვიდობისმოყვარეა, უმცირესობის ლიდერს წინა კვირაში განვითარებული მოვლენები მოჰყავს.

— მთავრობის პირდაპირი დავალებით ჩვენი 30-ზე მეტი ოფისი დაარბიეს რაიონებში, არც ერთ ჩვენს აქტივისტს საპასუხო ნაბიჯი არ გადაუდგამს, იმიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში ვიბრძვით, — განაცხადა უმცირესობის ლიდერმა.

სააკაშვილი მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ოფისიდან გამოეხმაურა. მისი თქმით, როცა



დემოკრატიას კლავენ, მას ფიზიკური დაცვა სჭირდება.

როგორც სააკაშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა, თავისუფალი ყოფნა-არყოფნის დაცვა ბრძოლის ტოლფასია და რევოლუციონერ მონადეების მიზეზი სწორედ ეს გახდა.

ოფისის გუბერნატორის განცხადებით, ის ძალიან დამოხმად ემიჯნება, მაგრამ თუ მოძალადე ხელისუფლებისგან თავდაცვა გახდება საჭირო, ამისთვის მზად უნდა იყვნენ.

— თავისუფალი სიტყვის ბოლო ციხესიმაგრის დაცვა საქართველოს ყოფნა-არყოფნისთვის ბრძოლის ტოლფასია. უნდა იყოს გაუკვირდება, რომ მე ამ ბრძოლისკენ მოვუწოდებ ყველას, ვისაც ამის ძალა და შესაძლებლობა შესწევს. თუ გვინდა, რომ საქართველოს მომავალი გააჩნდეს, ჩვენ არ უნდა დაუშვათ პუტინის სენარით საქართველოში თავისუფალი აზრის ჩახშობა.

თუ თავისუფლების ფიზიკურად დაცვა გახდება საჭირო, ჩვენ ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად. როცა დემოკრატიას კლავენ, მას ფიზიკური დაცვა სჭირდება, ამას გვასწავლის ევროპული დემოკრატიის ისტორია. სწორედ ასე, უბეში ძალის წინაშე მშვიდობიანი წინააღმდეგობით დაცვა უკრაინელმა ხალხმა საკუთარი თავისუფლება, — წერს სააკაშვილი.

მისივე თქმით, ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ყველაფერზეა წამსვლელი და ის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სროლასაც კი არ მოერიდება, ამიტომ ყველა მზად უნდა იყოს.

— ჩვენ უნდა ვიყოთ მზად იმისთვის, რომ ივანიშვილის რეჟიმი მოქმედებს იანუკოვიჩის მოდელით. მან უკვე ყველა დაარწმუნა, რომ ყველაფერზეა წამსვლელი. ბოლო განცხადებების ფონზე, უნდა ვიყოთ მზად, რომ ეს პროვოცირებული დიქტატორი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სროლასაც კი არ მოერიდება. მაგრამ, თუ ჩვენ ღირსებას ვაჩვენებთ დავიცავთ და არ დავთმოთ თავისუფლებას, მისი ხვედრი ზუსტად იგივე იქნება, რაც იანუკოვიჩმა გაიზიარა, — აღნიშნავს ნაპროიდენტალი.

აუდიოჩანაწერების გავრცელებას სააკაშვილი მორიგი სპეცოპერაციის კვალიფიკაციას აძლევს და მიიჩნევს, რომ ამაში პუტინის ხელი ურევია.

— სატელეფონო საუბრებს ინერენ, შემდეგ ნაწილ-ნაწილ ამუშავენ პუტინის სპეცსამსახურები და სწორედ ამ ფორმით ხდება რუსული საიტების მიერ გავრცელება. ეს სრულიად აშკარად ატარებს მორიგი სპეცოპერაციის ხასიათს.

მე სხვა რამ უფრო მაღიჯებს — ქვეყანას გვართმევენ და ზოგერთი „ლიბერალი“ მზადაა, ჩემ მიმართ პირად კომპლექსებს და ჯიბრს გადააყოლოს ყველაფერი. ასე მოხდა 2012 წელს და ამავე გზას ადგანან დღესაც. საბედნიეროდ, დღესისთვის ჩვენმა ხალხმა საკმარისი გამოცდილება მიიღო და ასე ადვილად აღარ ყლბავს რუსების და მათი ადგილობრივი რეზიდენტის შემოგდებულ სატყუარას.

დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარი შანტაჟის და შუქარის მიუხედავად, ქართველი ხალხი დაცავს თავის თავისუფლებას და არა მხოლოდ ტელევიზიის, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობას, ვინაიდან დღეს ეს ერთი და იგივეა, — წერს ოფისის გუბერნატორი.

კახა კახიშვილი მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მის კანდიდატურას ხსნის



საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის შეთავაზებასთან დაკავშირებით სპეციალურ

განცხადებას ავრცელებს.

“ინტერპრესნიუსი” სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის კახა კახიშვილის განცხადების ტექსტს უცვლელად გთავაზობთ.

კახა კახიშვილი
— სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, რომელსაც ამჟამად ვხელმძღვანელობ, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უწყებაა და მისი გამართლად ფუნქციონირება ქვეყნის სტაბილურობის, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ხელი-სუფლების მიდგომის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია.

საქართველოს ახალ ხელისუფლებას სასჯელაღსრულების სისტემაში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკის გათვალისწინებით, უმძიმესი მეტკიდრობა ერგო. სისტემაში არსებული

პრობლემების აღმოსაფხვრელად ძალიან დიდი შრომა იყო გასაწევი.

ახალმა ხელისუფლებამ მთავარი აქცენტი ადამიანის უფლებების და პიროვნების ღირსების დაცვაზე გააკეთა და ბოლო სამი წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში უპრეცედენტო რეფორმები გატარდა. ჩვენი გუნდისთვის უპირატესია ადამიანია, ხოლო კანონი — უზენაესი.

სასჯელაღსრულების სამინისტრო ახლა თავისი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე იმყოფება. სამინისტროს წინაშე არსებული ყველა გამოწვევა და ჯერ კიდევ დარჩენილი პრობლემების გადაჭრის პროცესი აუცილებლად ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი, რაც ჩემს პირად პასუხისმგებლობად მიმაჩნია. ამიტომაც გადავწყვიტე, უარი ვთქვა მთავარი პროკურორობის

კანდიდატობაზე და მოვეხსნა საკუთარი კანდიდატურა. ამასთანავე, ძალიან დიდ მადლობას ვუხდით არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიურ წრეებს, რომლებმაც წოდება გამომიცხადეს და ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს. უღრმესი მადლობა, ყველა მოქალაქეს, პოლიტიკოსს, ჟურნალისტს და საზოგადოების იმ თითოეულ წევრს, რომლებმაც ბოლო დღეებში ჩემს, როგორც პიროვნებისა და სასჯელაღსრულების მინისტრის მიმართ დადებითი შეფასებები გამოთქვეს.

მათი მსგავსი თბილი დამოკიდებულება და შეფასება, ჩემთვის დამატებითი სტიმული და ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაა, ბოლომდე ღირსეულად ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ხალხს.

ინტერპრესნიუსი

სილქნეტისა და კავკასუს ონლაინის შერწყმა ჩაიშალა



სილქნეტისა და კავკასუს ონლაინის შერწყმის საკითხი ამ ეტაპზე ჩაიშალა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კომპანიების ერთობლივი განცხადება წილების შერწყმის თაობაზე განუხილველად დატოვა. მიზეზი კი ისაა, რომ სილქნეტმა და კავკასუსმა შესაბამისი დოკუმენტაცია ვადაში არ წარადგინეს, რისთვისაც

მათ თითქმის 3 თვე ჰქონდათ.

კომისიის სხდომაზე ასევე წარადგინეს კავკასუს ონლაინის ყოფილი მფლობელის მამია სანადირაძის განცხადება, რომლითაც სანადირაძე მოუწოდებს კომისიას, არ მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის საკითხზე, ვიდრე კავკასუსის წილების დავა სასამართლოს გზით არ გადაწყდება. მამია სანადირაძე აცხადებს, რომ კომპანია მას იძულების წესით დაათმობინეს, რის გამოც საჩივარი პროკურატურაში აქვს შეტანილი.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის წილებზე სასამართლო დავა მიმდინარეობს, სანამ წილები დაყაღდებული არ არის, შერწყმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია. თუმცა, გაითვალისწინებს თუ არა კომისია სანადირაძის განცხადებას, უცნობია.

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე აცხადებს, რომ

საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, თუ რამდენად იქონიებს გავლენას მამია სანადირაძის სასამართლო დავა კომისიის მიერ საკითხის განხილვაზე.

— გვეჭირდება დამატებითი ინფორმაცია, თუ რაზეა საუბარი ლონდონის სასამართლოს შემთხვევაში, ასევე პროკურატურაში აღძრული საქმის თაობაზე. გამოვითხოვთ ამ ინფორმაციას და შევაფასებთ, რამდენად შეიძლება იქონიოს ბატონი მამიას მიერ მოხსენიებულმა ფაქტებმა გავლენა საქმის განხილვაზე, — აცხადებს ვახტანგ აბაშიძე.

უშუალოდ საქმის წარმოება ამ ეტაპზე დასრულებულია, თუმცა, თუ კომპანიებს ისევ ექნებათ შერწყმის სურვილი, მათ კომისიისთვის ხელახლა მიმართვა მოუწევთ.

29 ოქტომბრის სხდომაზე სილქნეტმა და კავკასუსმა დოკუმენტაციის წარდგინების დამატებით 2 კვირა მოითხოვეს, თუმცა კომისიამ მათ უარი უთხრა, რადგან ასეთ შემთხვევაში

ვაში ვადებში თავად კომისია ვერ ეტეოდა.

გამოთხოვილი ინფორმაციაზე დაყრდნობით კომისიას კომპანიების შერწყმის შემთხვევაში ინტერნეტსელის მომსახურების საბითუმო და ინტერნეტის ქსელებით მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის ალბათობა უნდა შეესწავლა, რის საფუძველზეც წინასწარი თანხმობის მიცემის ან არმიცემის თაობაზე იმსჯელება, თუმცა კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არცერთმა კომპანიამ არ წარმოადგინა, რის გამოც კომისიამ მათი განცხადება განუხილველად დატოვა და საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შეწყვიტა.

„კომერსანტი“ შეეცადა, დეტალების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ კომპანიებისგან მიეღო, თუმცა, სილქნეტში დეტალებზე არ საუბრობენ. კავკასუს ონლაინთან დაკავშირე-

ბა ვერ მოხერხდა.

საინტერესოა, რომ კომისიის 29 ოქტომბრის სხდომაზე კავკასუს ონლაინის წარმომადგენელი საერთოდ არ დასწრებია.

კომისიამ წილების შერწყმაზე წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაიწყო. კვლევის ჩატარებისთვის საჭირო ინფორმაციის წარმოსადგენად კომპანიებს ვადა 2015 წლის 20 სექტემბრამდე მიეცათ.

სხვათა შორის, კავკასუს ონლაინი მაგთიკომთან შერწყმასაც განიხილავს. კომისიაში განსახილველად შეტანილია ანალოგიური წერილი შპს მაგთიკომთან დაკავშირებით. კომისია ამ საკითხს 5 ნოემბრის სხდომაზე განიხილავს.

სალომე მეცხარიშვილი, კომერსანტი

ბანკები მოხმარებულს მნიშვნელოვან ინფორმაციას არ აწვდიან ეროვნული ბანკის კრიტიკული დასკვნა

კომერციული ბანკების მხრიდან საბანკო მომსახურების განვითარების მხარდგომისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის მოთხოვნები მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობს.

ასეთია იმ კვლევის შედეგები, რომელიც 29 ოქტომბერს ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა ოთარ ნადარაიამ კომერციული ბანკების წარმომადგენლებს საქართველოს ეროვნულ ბანკში გამართულ შეხვედრაზე გააცნო.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გარკვეული გაუმჯობესება და ეს აისახება საქართველოს ეროვნულ ბანკში შესულ საჩივრებსა და ზარებზე, ამ მიმართულებით კომერციული ბანკების სამუშაოები არასაკმარისია.

მომხმარებელთა უფლებების შესახებ კვლევაზე მუშაობა 2015 წელს

დაიწყო, რომელშიც რეგიონული მასშტაბით 6 კომერციული ბანკი იყო ჩართული.

— ეროვნული ბანკი გააგრძელებს ინტენსიურ დაკვირვებასა და კვლევებს, განვიხილავთ ამ პრობლემის მოსაწესრიგებლად მარეგულირებელი ჩარჩოს გამკაცრებას, — განაცხადა ოთარ ნადარაიამ.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ძირითად შემთხვევებში კომერციული ბანკები მომხმარებელს ზეპირსიტყვიერად არ აცნობენ ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიცაა კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, სავალუტო რისკი და ფინანსური ხარჯები. მომსახურების განვითარების დროს არ ხდება პრეტენზიის დაფიქსირების შეთავაზება ბანკის მხრიდან.

გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, მომხმარებელს თავისი ინიციატივით პრეტენზიის დაფიქსირების



კუთხითაც შეეძენა პრობლემა. პრობლემები დაფიქსირდა ხელშეკრულების გადაცემასთან დაკავშირებითაც.

„საბანკო მომსახურების განვითარების მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი“ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო სექტორს 2011 წლიდან შესთავაზა და ეს იმ რეფორმის ნაწილია, რომელიც ქვეყნის მთავარმა ბანკმა საფინანსო სექტორის მომხმარებელთან უფლებების დაცვის მიზნით განახორციელა.

ნარიჯისფარი ჩოქალი — გლეხების მოკრიბი თავსაზიზი

საქართველოში წელს ციტრუსის უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მოსავალს ელიან, თუმცა ნარიჯისფარი ჩოქალის მოახლოების წინ გლეხები რეალიზაციის მიმართულებით შექმნილ პრობლემებზე უკვე საუბრობენ.

მერაბ ნოღაიდელი, ქობულეთში მცხოვრები:

— 10 ტონაზე მეტ მოსავალს ველოდები, რადგან წელს მოსავლიანობა ორჯერ მეტია, მაგრამ ალარ ვიცი, უნდა მოხაროდეს თუ მწყინდეს. რაც მეტია მოსავალი, მით მეტი მუშახელია საჭირო. მუშას დღეში 30 ლარი უნდა

აისახება. წელს უპრეცედენტო რაოდენობის მოსავალს ველოდებით და დამატებითი ობიექტების ძებნაც მოგვინდვის. არავინ იცის, რამდენი იქნება ხარისხიანი პროდუქტის ფასი, ამას ბაზარი განსაზღვრავს.

მანდარინის რეალიზების პრობლემას უჩივიან სამეგრელოშიც. როგორც ხობულმა დათო ქირიამ აღნიშნა, საუკეთესო ხარისხის მანდარინის ფასი 80 თეთრია, რაც, ციტრუსის პლანტაციების მუპატრონეების აზრით, ძალიან დაბალია.

მისივე თქმით, დასავლეთში ნესტიანი ადგილია და ციტრუსი მცირედ



გადავსადაო. ყველაზე უხარისხო მანდარინი 20 თეთრი ელირება. ერთ კვირაში დავინყებ კრეფას და მანამდე თადარიგის დაჭერა გადავწყვიტე — მსურველები არიან, ოღონდ კარგი ხარისხის მანდარინი, ნარჩევი 50-60 თეთრზე მაღალ ფასში არავის უნდა. აჭარის მანდარინის სიტკბო აკლიაო და უფრო მაღალ ფასში ვერ ჩავიბარებთ, დიდ ბაზარზე მოთხოვნა არ არისო, მითხრეს.

ციური ქარჩავა, ციტრუსის მწარმოებელი:

— მანდარინი შუა აზიაში, უკრაინასა და რუსეთში გაგვაცქეს, მაგრამ ახლა იქაც რთული ვითარებაა. რუსეთში დიდფასები შემცირდა, რეორგანიზაციები, სავაჭრო ობიექტები ვერ მუშაობენ და ეს ჩვენს მუშაობაზეც


ყინვასაც ვერ უძლებს. ამიტომ მას განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

— კომპანიები სამრეწველო გადამამუშავებისთვის განკუთვნილ 1 კილოგრამ მანდარინს 20 თეთრად შეისყიდებიან, მაგრამ, როგორც კი სეზონი დაიწყება, უზარმაზარი რიგები დგება და ამასობაში ისე ფუჭდება ნაყოფი, რომ 10 თეთრად თუ ჩაიბარე, მაღლობელი უნდა ვიყოთ. ახალი საწარმოების აშენებას კი აანონსებენ, სადაც ციტრუსის დასაწყობების საშუალება გვექნება, მაგრამ ჯერჯერობით ეს პრობლემა მოუგვარებელია, — ამბობს ციური ქარჩავა.

ლალი ბაბასკირი, ბიბიენი

საქართველოში ახალი სანარმოების რაოდენობა 14%-ით შემცირდა

მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოში ახლად დარეგისტრირებული სანარმოების რაოდენობა, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, 14%-ით შემცირდა და 3.466 ერთეული შეადგინა.



შარშან იმავე თვეში ეს მაჩვენებელი 4.121-ს შეადგენდა. მაშინ შემცირება 3,9 პროცენტი იყო.

დღგ-ის გადამხდელ სანარმოთა ბრუნვამ მიმდინარე წლის სექტემბერში 4.790.800 ლარი შეადგინა, შარშან კი ეს მონაცემი 4.087.000 ლარი იყო.

სტატისტიკოსი სოსო არჩვაძე აცხადებს, რომ ახალგაზრდა სანარმოთა რიცხვი შეუძლებელია, მუდმივად იზრდებოდეს, მით უმეტეს — საქართველოს მსგავს მცირე ეკონომიკაში.

— სასურველია, რომ ახლად გახსნილ სანარმოთა რიცხვი იზრდებოდეს, თუმცა, ეს პროცესი შეუძლებელია, უსასრულო იყოს, რადგან ჩვენ შეზღუდული რაოდენობის მოსახლე-

ობა გვყავს. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამუშაო ადგილები იქმნება არამარტო ახალ სანარმოებში, არამედ ზრდა შეიძლება მოხდეს ადრე ამოქმედებულ სანარმოების ხარჯზეც. ეს ნიშნავს, რომ მათ მეტი შეკვეთები

დებს სოსო არჩვაძე.

დღგ-ის გადამხდელ სანარმოთა ბრუნვის გაზრდას არჩვაძე ორი ფაქტორით ხსნის:

— დღგ-ის ზრდა ორი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული — ეკონომიკური აქტივობის ზრდა, ტრანზაქციების მატება და მეორე, ინფლაციური გადასახადის ფორმით, როდესაც ფასები მატულობს და ფასთა შორის სხვაობა იზრდება.

ექსპერტი ვატო ლეფავა კი სამეწარმეო ახლად რეგისტრირებულ სანარმოთა რაოდენობის შემცირებას ბიზნესში ოპტიმიზმის შემცირებას უკავშირებს.

— ეს აჩვენებს, რომ სამეწარმეო აქტივობა საქართველოში შემცირებულია, ბიზნესის ოპტიმიზმი შემცირებულია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მგონი, პირველი წელია, როდესაც სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა შემცირდა. ეს პირდაპირ კავშირში არ არის დასაქმებულთა, მაგრამ არის მოსაზრება, რომ ეს დაკავშირებულია სამუშაო ადგილების შემცირებასთანაც, — აცხადებს ვატო ლეფავა.

შესაძლებელია თუ არა დუინგ ბიზნესის კვლევისა და არსებული მაჩვენებლების დაკავშირება?

ლეფავა ამბობს, რომ პირდაპირი კავშირი არ არსებობს, თუმცა ლოგიკური კავშირის დანახვა შესაძლებელია.

— დუინგ ბიზნესის მიხედვით, საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა გაუარესდა და მეორე მხრივ, გვაქვს მონაცემი, რომ დარეგისტრირებულ კომპანიათა რაოდენობა შემცირდა. შესაბამისი დასკვნაც შეიძლება გამოვიტანოთ, — აცხადებს ვატო ლეფავა.

სალომე მეცხარიშვილი, კომერსანტი

აქვთ, მეტი დატვირთვა აქვთ, ბაზარზე უფრო ინტენსიურად გადიან და მეტი სამუშაო ძალა სჭირდებათ.

სოსო არჩვაძის თქმით, ეს შეიძლება ავსხნათ იმითაც, რომ ბაზარი არის სტრუქტურირებული, ახალი დარგები და ინოვაციები არ გვაქვს ბაზარზე, მაგრამ ჩამოყალიბებულია ბაზარსა და პროდუქტებზე მოთხოვნა, რომელიც სტაბილურად მზარდია, ეს არამარტო ბრუნვის ზრდას, არამედ სამუშაო ადგილების მატებასაც ნიშნავს.

— ახლად შექმნილი სანარმოები ხომ ემატება ძველად შექმნილს, ამიტომ, ფაქტობრივად, ქვეყანაში მაინც იზრდება მოქმედ სანარმოთა რაოდენობა და ამ სანარმოებში იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც, — აცხა-

2015 წლის 9 თვის საშუალო ეკონომიკური ზრდა 2,7% შეადგინა

2015 წლის პირველი 9 თვის საშუალო ეკონომიკური ზრდა 2,7% შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეკონომიკური ზრდის წინასწარ შეფასებას აქვეყნებს, რომლის თანახმად, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2015 წლის სექტემბერში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 2,2%, 2015 წლის III კვარტალში — 2,5%, ხოლო 2015 წლის პირველი 9 თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 2,7% შეადგინა.





„როდესაც უსუფაშვილი ნასიონალუბის შენარჩუნებაზე ზრუნავს, ეს სახელმწიფოს დისკრედიტაციაა“

თენგიზ დიხამინჯია: „ოცნებას“ უნდა
ქიბარ ხალვაშის გამოყენება“



გულიკო ბალაძე

24 ოქტომბერს სუსმა სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მზადების მუხლით საქმე აღძრა. ამას დაერთო სააკაშვილის, გვარამიასა და ბოკერიას სატელეფონო საუბრების გამოქვეყნება, სადაც რევოლუციურ პროცესებზეა საუბარი.

1991 წელს დამოუკიდებელი უზენაესი საბჭოს წევრი თენგიზ დიხამინჯია ამბობს, რომ ბრალდება შესაძლებელია, სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს. სააკაშვილის საუბარში პირდაპირი მოწოდება, საბოტაჟი, გადატრიალების მოწყობის მცდელობა, დესტრუქცია და ხელისუფლების ძალადობრივად დამხობის გეგმის გააქტიურება ჩანს.

— რუსთავი 2-ის ნილის დაბრუნებისთვის სასამართლო დავას დიდი ავითრათი მოჰყვა — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებმა განცხადებები გააკეთეს. როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება?

— ხელისუფლებას უნდა ეხელმძღვანელა მთავარი პრინციპით — მართლმსაჯულების აღსრულება და დემოკრატია, რაც ურთიერთშეთანხმებადია, მაგრამ „ოცნებაში“ ეს არ გააკეთა. ქიბარ ხალვაში იყო სააკაშვილის ხელდასმული ადამიანი, რომელმაც სააკაშვილ-ოქრუაშვილის ბრძანებით, ეს ტელევიზია კანონიერ მფლობელებს წაართვა. არჩევნების წინ ქიბარ ხალვაშს და „ოცნებას“ გაასხენდათ რუსთავი 2. „ოცნებას“ უნდა ქიბარ ხალვაშის გამოყენება ისე, როგორც ბადრი პატარკაციშვილის ნათესავი ჯოზეფ ქეი გამოიყენეს ნაციონალურმა.

— თქვენც იმ აზრზე ხართ, რომ „ოცნება“ არის ჩარეული რუსთავი 2-ის პროცესში?

— რა თქმა უნდა. ეს მეორეხარისხოვანი თემებია იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთებულიყო სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. ხელისუფლებას ციხეებში ადამიანების ცემის, გაუპატიურებების, ადამიანური უფლებების შელახვისთვის ფაქტების სამართლებრივი შეფასება უნდა მოეხდინა.

— როგორც ჩანს, თქვენც მოექვეყნით რუსთავი 2-თან დაკავშირებული პრობლემების არეალში.

— რუსთავი 2 არის თავიდან ბოლომდე სააკაშვილის რუპორი, რომელმაც დანაშაულებრივი სისტემა შექმნა და ემსახურებოდა ადამიანის უფლებების შელახვას, სახელმწიფო სუვერენიტეტის წგრევას, ყოველგვარი შავის გათვრებას.

**სამკარნალო-დინამოსიური
სენარჩუნება „ქალაქი“ მთავარობა
მედიკალისისა და
სრულსაზოგადოებრივ
მედიკალისისა და
მედიკალისისა და
მედიკალისისა და**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, ნეა-ტივილი შარდისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მონესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგესალმებით
მალაკოვლივიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.



— მაშინ რატომ ხდება ერთი ადამიანის ნილის გარკვევა ამხელა ავითრათის და შეთქმულების მიზეზი?

— ტელევიზია კანონიერ მფლობელებს უნდა დაუბრუნდეთ. ამ შემთხვევაში კი კანონიერ მფლობელებს არ დაუბრუნებენ. რუსთავი 2-თვის თავი რომ დაენებებინათ და მართლმსაჯულების პრობლემებისთვის მიეხდათ, სჯობდა.

— თქვენ ძალიან უბრალოდ გაატარეთ ქიბარ ხალვაშის ინტერესები და პრობლემები. მასსოვს, როგორ დაუწვევს ქონება, იმ სასამართლოს გვერდით როგორ იყო ჩაღწეული მისი კუთვნილი შენობები?

— აბა, ქიბარ ხალვაშს ნაციონალები ქონებას ხომ არ გაატანდნენ?! ეს მას უნდა სცოდნოდეს. ის ბრმა იარაღად იყო გამოყენებული. იქ სხვა ადამიანები არიან მფლობელები, ყველამ იცის.

— ზოგიერთი ყოფილი მფლობელი ამბობს, რომ შემდეგ ქიბარ ხალვაშთან გაარკვევენ თავისი ნილის საქმეს, რატომ უშლიან მფლობელის გარკვევას ხელს? რა შუაშია ამ შემთხვევაში ხელისუფლება?

— ხელისუფლება იმ შუაშია, რომ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან თემაზე, მათ შორის, სტრატეგიული ობიექტების დაბრუნებაზე, რაზეც 10 ათასობით საჩივარია, არ რეაგირებს.

— სტრატეგიული ობიექტები ნაციონალურმა ძირითადად რუსეთზე გაასხვისეს. რუსეთისგან როგორ უნდა დაიბრუნონ?

— ქონება არა მხოლოდ რუსებზეა გასხვისებული, არამედ ვანო მერაბიშვილის, ადგილობრივი და სხვა ჩინოვნიკების მიერ მისაკუთრებული მილიონიანი ქონებები და ხელისუფლებამ უარი თქვა საქმის წარმოებაზე. უარს ეუბნებიან დაბრუნებაზე. დაზარალებულებს პროკურატურაში

აქვთ საჩივრები შეტანილი, მაგრამ არ იძიებენ. ეს ბაღებს კითხვის ნიშნებს.

— ქიბარ ხალვაშში ჩიოდა პროკურატურაში, იქ შედეგი ვერ მიიღო და სარჩელი სასამართლოში შეიტანა. სხვებმა შეიტანონ სასამართლოში და იდავონ, რა უშლით ხელს?

— აბსოლუტურად მომხრე ვარ იმის, რომ ქიბარ ხალვაშისა და სხვების მიმართ სამართლიანობა აღდგეს, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებელია, როდესაც ორმაგ სტანდარტებს ადგენენ და იმის შესაბამისად მოქმედებენ.

— ფეისბუქზე გაჩნდა მონოღება: „ბოკერია ციხეში“. იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, ეჭვგამაღწევად თუ არა დაპატიმრებას ჩანანერების ფიგურანტები?

— არა მარტო ეს არის, არამედ სხვა ფაქტებიცაა. კერძოდ, ციხის ე.წ. ბუნტის ადამიანების მასობრივად დახვრეტა. ამას სჭირდება სერიოზული დაკითხვა. ამას სჭირდება შეუპოვარი და მამაცი პროკურორების არსებობა. როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, ნაციონალური მოძრაობა უნდა შევინარჩუნოთ, ეს არის სახელმწიფოს აბსოლუტური დისკრედიტაცია.

— ანუ სუსმა სერიოზულად უნდა გამოიძიოს საქმე და დაწამებულმა პასუხი უნდა აგონ?

— რა თქმა უნდა. ამათ ერთი ფეხი იქით აქვთ, მეორე — აქვთ. პირველხარისხოვანი ფიგურები სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მისცე. მეორე და მესამეხარისხოვანი ფიგურები კი — მჭიდრულ კანონებს და უქმედებებს.

სერიოზული პოსტებიდან გარკვეული პირები უნდა იქნენ დათხოვილი, „ოცნებაში“ კი ეს არ გააკეთა, დასაფლავებული ხალხი კუბოდან ამოიყვანა, გააცოცხლა. ახლა ისინი გადატრიალებას გეგმავენ. ყველაფერი მოდის ორმაგი სტანდარტებიდან.

„თუ სახელმწიფო გადაიხდის მარკირების ხარჯებს, პროლუქსია არ გაქვირდება“

ლევან ზაუტაშვილი: „1 ნოემბრიდან
ეს კანონმდებლობა ძალაში ვერ შევა“



ლალი დავითური

ფინანსთა სამინისტროს გადანაცვლებით, 1 ნოემბრიდან უალკოჰოლო სასმელების მარკირება იწყება.

ამ ახალმა რეგულაციამ უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლების პროტესტი გამოიწვია. „ახალი თაობა“ ესაუბრა „ქსტელ საქართველოს“ გენერალურ დირექტორ ლევან ზაუტაშვილს.

— ბატონო ლევან, 1 ნოემბრიდან უალკოჰოლო სასმელების მარკირება იწყება, როგორ ხედებით ახალ რეგულაციას?

— 1 ნოემბრიდან, ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, ეს კანონმდებლობა ძალაში ვერ შევა. უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელთა ასოციაციამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, ეს ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ ეს ბრძანება 1 ნოემბრიდან ძალაში ვერ შევა.

— საიდან გაჩნდა მარკირების აუცილებლობა და ვალდებულება?

— ამის აუცილებლობა ჯერ კიდევ გასული ხელისუფლების დროს იყო დადგენილი იმ ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმდა წინა ხელისუფლების მიერ შევიცარულ კომპანიასთან.

გაცილებით უფრო იაფი და სწორი მეთოდებით შესაძლებელია აღრიცხვიანობის შემოწმება და არა იმ გზით, რომ გაუგებარი წარმოშობის კომპანიას გადაეხადოთ 6 მილიონი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის ინტერესების გვერდის ავლით მიდის შევიცარიული კომპანიის ჯიბეში, — აცხადებს ლევან ზაუტაშვილი.

მისი თქმით, ეს საკითხი უფრო შორს მიდის და აღრიცხვიანობასთან კავშირში არ არის, ეს არის უფრო წარსულში წარმოქმნილი საკითხი, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა და დატოვა ძალაში.

— მთავრობა აცხადებს, რომ ამ ხარჯებს თვითონ დაუფარავს.

— თვითონაც რომ დახარჯოს



ეს თანხა, ვის ფულს დახარჯავს? ეს თანხა ბიუჯეტში მწარმოებლების გადახდილია, ჩემი და თქვენი გადახდილი. რამდენი სოციალური პროექტი და გეგმაა შესასრულებელი, რომლებიც დაუფინანსებელია და უნდა შესრულდეს. მაგალითად, წელს ვერ მოხერხდა საკმარისი რაოდენობით გაგაბლების მშენებლობა. სად არის გასანიავებელი თანხები!

— თუ სახელმწიფოს უკვე აქვს ვალდებულება, ალბათ ამიტომ აპირებს მის შესრულებას.

— კი ბატონო, არსებობს ეს ვალდებულება, მაგრამ ხელისუფლების არგუმენტი ეს არ არის, მისი არგუმენტი ალრიცხვიანობის მოწესრიგება.

— თუ სახელმწიფო თავად გადაიხდის მარკირების ხარჯებს, თქვენი პროდუქცია ხომ არ გაძვირდება?

— ჩვენ პროდუქცია არ გაგვიძვირდება, თუ ფინანსთა სამინისტრო გადაიხდის მარკირების ხარჯებს.

— ზოგიერთი კომპანია შიშობს, რომ შეიძლება მარკირებამ გამოიწვიოს პროდუქციის ფასის გაზრდა.

— სხვა კომპანიები რას ამბობენ, არ ვიცი, მაგრამ ჩვენი პოზიცია ასეთია, რომ პროდუქცია არ გაძვირდება, თუ სახელმწიფო გადაიხდის მარკირების ხარჯებს.

ჰინ ღაიშავს გოგონათა უფლებებს

გოგონათა უფლებების შესახებ შეხვედრები მიმდინარეობს ქვემო ქართლში გოგონათა უფლებების შესახებ შეხვედრები მიმდინარეობს.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან აცნობეს, აპარატის ორგანიზებით დღეს შეხვედრები დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ამაძლოსა და ორზუმანში და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ქვემო ბოლნისსა და ნახიდურში გაიმართა.

შეხვედრებში საჯარო სკოლების 200-მდე უფროსკლასელი გოგონა, ასევე მათი მშობლები და პედაგოგები მონაწილეობდნენ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელმა ქვემო ქართლში ზაურ დარგალმა და ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ანა აბაშიძემ მათ ინფორმაცია მიანოდეს. კერძოდ, სტამბულის კონვენციის რატიფიცირების, ქალთა მიმართ ძალადობის, ადრეული ქორწინების საკითხებსა და ბავშვთა უფლებების კონვენციის ძირითად პრინციპებზე.

ნოემბერში შეხვედრები, ასევე, დაგეგმილია მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში.

ინტერპრესნიუსი

ქალაქ-სახსართა პრობლემების:

კოქსარტოროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატიკული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცივითი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მონესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე — ძვლის მკვებადებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისგან გათავისუფლებით. უკუწვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარია.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დაზნადებულ ნამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუბის საგვარეულო ნამლები და მალაშოები.

თოდუბის გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.

ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო ნამლებს უკუწვენება არ აქვს.

ლამარა თოდუა:

● გვურნავ ნაწილებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგინმდით ორგანიზმს. ახალნაშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალაშოებით შევბას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.

● ვარჩენ „პრიშიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმოროიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.

● ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.

● ● ●
ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის განმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დაზნადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.

**მის.: მთარა ჰილაქის ქ. №166; №10 კორპუსის ნი6
და №1 კორპუსის უკან; ტელ.: 230-62-52; 599-16-10-82**



აშშ-მ გალარუსის წინააღმდეგ ზომიერითი სახმის შემაჩრა

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ ბელარუსის ზოგიერთი საწარმოს მიმართ დაწესებული სანქცია შეაჩერა.

აღნიშნული სანქციები 2006 წელს იქნა შემოღებული, როცა ლუკაშენკომ

ოპოზიციის წინააღმდეგ მორიგი რეპრესიები გააჩაღა.

— იმედია, ბელარუსის ხელმძღვანელობა მომხდართან დაკავშირებით დასკვნებს გამოიტანს და რეპრესიებს შეწყვეტს, — ნათქვამია აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში.

ბორის ნემცოვს ქან რის სახელობის პრემია მიენიჭა

ბორის ნემცოვს ჟან რეის სახელობის პრემია მიენიჭა. ცნობაში ნათქვამია, რომ ნემცოვი დემოკრატიისათვის იბრძოდა და ამას შეენიჭა.

— თავისუფლება და დემოკრატია პაერიდან არ მოდის! ნემცოვი კი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს თავისუფლებისთვის მებრძოლი, — აცხადებს რადიო „თავისუფლება“.

მოსკოვში „რუსული მარში“ ჩატარდება

მოსკოვში „რუსული მარში“ ჩატარდება.

ამ ღონისძიებას რუსული ულტრაშოვინისტური ორგანიზაციები ატარებენ ხოლმე. ის რუსეთის ყველა მსხვილ ქალაქში ტარდება.

წელს სანქტ-პეტერბურგის, ეკატერინბურგისა და კალინინგრადის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რუსული მარში არ დაეშვათ. სამაგიეროდ, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში მარში ჩატარდება.

მოსკოვში უკრაინული ბიბლიოთეკის ღირეშობა დააქვეს



რუსი ძალოვნები „მავნე“ წიგნებს ეძებენ უკრაინული ბიბლიოთეკის შენობა მოსკოვში ომონის მიერ იყო აღყაშემორტყმული. უკრაინელი ჟურნალისტი ციმბალიუკი ბიბლიოთეკაში შესვლას ამაოდ ცდილობდა. ომონელებმა ამისი საშუალება არ მისცეს:

— არ შეიძლება!

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა მოგვიანებით ჟურნალისტებს განუცხადა: გეჟონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ბიბლიოთეკაში ინახებოდა „მავნე“ ლიტერატურა, რომელიც რუსეთის ეროვნულ უშიშროებას საფრთხეს უქმნის. შეკითხვაზე, ამაში რას გულისხმობთ, რუსმა ძალოვანმა უპასუხა:

— წიგნები, რომლებიც უკრაინელებსა და რუსებს შორის შუღლის ჩამოგდებას ხელს უწყობს.

— კონკრეტულად?

— გთხოვთ, თავი დამანებოთ, საქმე მაქვს...

რუს გამომძიებელს ჯერ არ ჰქონდა ინსტრუქცია, რა უნდა ეთქვა, ამიტომაც პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. მოგვიანებით რუსებმა უკვე დაამუშავეს ბრალდება, რომელსაც მოსკოვის უკრაინული ბიბლიოთეკის დირექტორს წაუყენებენ.

— ბიბლიოთეკაში ფაშისტური ლიტერატურა აღმოჩნდა! მხედველობაში გვაქვს წიგნები სტეპან ბანდერასა და სხვა მსგავს მოღვაწეებზე!

— ბანდერა ნაცისტების წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა! ის ამის გამო საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა! ოსვენციმის ბანაკში მისი ორი ძმა დაიღუპა! სადაური ფაშისტია?! — ჰკითხა ციმბალიუკმა რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის წარ-

მომადგენელს.

— რუსული კანონით ის ფაშისტია!

ასევე ნაცისტურად გამოაცხადეს ოლეს გონჩარისა და პავლო ზაგრებელის რომანები, პავლო ტიჩინას, მაქსიმ რილსკის, მიკოლა ბაჟანის, ვლადიმერ სოსიურას, ოქსანა ზაბუჟკოს პოეზია, საბავშვო ჟურნალი „ბარვინოკი“, აქაოდა, იქ ფაშისტური დროშა ხატიაო.

— ჟურნალში ძმები გრიმების ზღაპრია და ბეჭდილი! ეს ზღაპრული ანუ არარსებული სახელმწიფოს დროშაა!

რუსები თავისაზე იდგნენ: ძმები გრიმები



შირმაა. სინამდვილეში აქ რუსოფობიული მასალაა დაბეჭდილი, დროშა კი მემარჯვენე სექტორისააო.

— ეს ორგანიზაცია რუსეთში აკრძალულია! თავად ბიბლიოთეკის დირექტორი შარინა დაკავებულია. მისი ბინიდან ამოიღეს „დანაშაულის“ დამამტკიცებელი საბუთები: შევჩენკოს, ივანე ფრანკოს, ლესია უკრაინკასა თუ სხვათა ნაწარმოებები. ამას გარდა, ამოღებულ იქნა სიგელები, რომლებიც შარინას უკრაინის პრეზიდენტებმა კუჩმა, იუშჩენკომ და იანუკოვიჩმა გადასცეს.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ის, რაც მოსკოვის უკრაინულ ბიბლიოთეკაში მოხდა, უკრაინელთა დევნის დასაწყისია.

ციმბალიუკის აზრით, შესაძლოა, ახლო მომავალში რუსეთში მცხოვრები უკრაინელების დეპორტაცია დაიწყოს.



პოლ რაიანი წარმომადგენლობითი პალატის სპიკერად აირჩიეს

რესპუბლიკელი პოლ რაიანი წარმომადგენლობითი პალატის სპიკერად აირჩიეს. ის 1970 წელს დაიბადა, აქვს ორი უმაღლესი დიპლომი, არის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრი, სხვადასხვა დროს იყო სენატორების ჯექ კემპისა და ბობ კარსტენის თანაშემწე.

მომავლად ნიკა თევზაძე

დიდი პიროვნებისა და მეცნიერის 60 წლის იუბილე

შეგარდნადის პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროს ფორმირებისას ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ექიმების ტესტირებაზე ერთადერთმა მიიღო უმაღლესი შეფასება — 96 ქულა, როდესაც დიდი ნაწილი ექიმებისა ჩაიჭრა. სამინისტროს ხელმძღვანელობის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღნიშნული მაღალქულიანი შევიდა განცხადებით, მისთვის შესაფერი ადგილის თხოვნით. ის სოფლის მეურნეობის სპეციალისტი აღმოჩნდა. შემდგომ ამ სამინისტროში მან 12 წელი იმუშავა და დღესაც ახსოვთ და ემაღლიერებიან ის ბენეფიციარები, ვისაც მასთან საქმე ჰქონია.

ზურაბ მამანტიის ქე გუკია

რომელსაც მიმდინარე წლის 13 სექტემბერს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ზურაბ ბუკია არის მაღალი სტანდარტის პროფესიონალი მეცნიერი, უმწიკველი, უანგარო უპატიოსნესი კოლორიტული პიროვნება, მეგობრობაში გამორჩეული, მზრუნველი ბუნებით გატარების ტალკვესი.

მისთვის ყველაზე დიდი „ქრთამი“ მის მიერ გაწეული დახმარებით გახარებული ადამიანების გაბრწყინებული სახეებია, როგორც ის ამბობს.

მას ოჯახიც ისეთივე სანაქებო ჰყავს, როგორც თვითონ არის — მეუღლე ნანა ბაგათელია უმაღლესი კატეგორიის პედაგოგია, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

ქალიშვილი — ციციონ ბუკია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ორი რომანის „გრძნეულთა ქალაქისა“ და „ცისარტყელა ღრუბელში“ ავტორი. მიღებული აქვს დავით აღმაშენებლის პრიზი და გურამ რჩეულიშვილის პირველი ხარისხის პრემია.

ვაჟიშვილი — ლევან ბუკია უმაღლესი იურიდიული განათლებით აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების საჯარო მუშაკია.

საქართველოსა და აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება, სანათესავო და სამეგობრო წრე მას ულოცავენ დაბადების 60 წლისთავს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და წარმატებებს ერისა და ქვეყნის სამსახურში.

ბატონო ზურაბ, შენაირი კაცისათვის 60 წელი შუადღეა და, როგორც იოსებ ნონეშვილი ამბობდა: „შუადღის მზე უფრო ცხელია, უფრო მწველი და უფრო თაყარა!“.

ოთარ ხუფენია, ნოდარ ზარანდია, რაფიელ გელანტია, სიმონ ზაქარაია, მურმან ვახანია, რევაზ ეზუგბაია, რაფელ ქარდავა

განცხადება

გასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც — რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამოავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვეკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძღურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ურექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, ნამღების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამოშვები მიზნისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩანერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დილომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვეკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● „ალკოპოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის განმენდა ალკოპოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწვევლობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მონესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოპოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოპოლდეჰიდროგენზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქეკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობის და ალკოპოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისხიან სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტის ანტილიპიდურ კუპაოს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკასად-გურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ფოტოსურათით მოგისწავთ: ალკოპოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითკვლეობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დამახურობას, აფორიაქებას, სევდას, ნადევლს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც, გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გინვეთს სპეციალისტებსაც დამეგაცრუებულებსაც. მის: ნერეთის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთმდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოპოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მესხიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბოსის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, ნენეების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატის, ადენომის (ავთვისებიან გადაგარებაზეც!), შარდვის მოშლა-გაშორების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქინი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართო დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმატულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლასიის, სქოლიოზის, ხერხეშლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქინი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, პიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, პეპანგიომას, ხალებს, რთულ მეჭვტებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, ნანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიდი მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გვერის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩანერით. აქვე მოისწავთ მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.



ჩელსი—ლივერპული ტურიულ დარბის დარდოილავს



არც მომავალ უქმეებზე მოინყენს ფეხბურთის გულშემატკივარი. ინგლისში ჩელსი-ლივერპულია, რომელიც ყველა სხვა მატჩს ჩრდილავს. იტალიაში ტურინული დერბი ელის ტიფოზებს — ურთიერთობას იუვენტუსი და ტორინო გაარკვევენ, თუმცა, აპენინებზე სხვა მატჩები უფრო საინტერესოა: ინტერი შინ დაუხვდება რომას, ხოლო ლაციო — რომას.

ესპანეთში ვილიარეალი-სევილია იქნება საინტერესო ჯახი, გერმანიაში არანაკლები ბრძოლაა მოსალოდნელი ვოლფსბურგი-ლევერკუზენის შეხვედრაში. საფრანგეთში კი, ამ მხრივ ცოტა მოსაწყენი ტურია.

ინგლისი

31.10 ჩელსი-ლივერპული	2.05	3.25	3.8
31.10 ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი	2.87	3.1	2.6
31.10 უოტფორდი-ვესტ ჰემი	2.5	3.2	2.87
31.10 ნიუკასლი-სტოკი	2.5	3.2	2.87
31.01 სიტი-ნორვიჩი	1.25	6.0	11.0
31.10 სუონსი-არსენალი	5.0	3.6	1.73
31.10 კრ.პალასი-მანჩესტერი	3.6	3.3	2.1
01.11 ევერტონი-სანდერლენდი	1.5	4.0	7.0
01.11 საუთჰემპტონი-ბორნმუთი	1.57	3.8	6.0
02.11 ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.4	4.33	7.0

ჩელსი-ლივერპული

ჩელსი: **ტრავა**-დიეგო კოსტა, ტიბო კურტუა
ლივერპული: **ტრავა**-ჯორდან როსიტერი, დენი ინგისი, ჯოზეფ გომესი, ჯორდან პენდერსონი; **დისკე**-ჯეიმს მილნერი

ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი

ვესტ ბრომვიჩი: **ტრავა**-ბენ ფოსტერი

ლესტერი: ტრავა-არავინ

უოტფორდი-ვესტ ჰემი

უოტფორდი: **ტრავა**-არავინ
ვესტ ჰემი: **ტრავა**-ალექს სონგი

ნიუკასლი-სტოკი

ნიუკასლი: **ტრავა**-ჯეკ კოლბაკი, ტიმ კრული, გაბრიელ ობერტანი, სტივენ ტეილორი

სტოკი: ტრავა-მარკ მუნიესა

სიტი-ნორვიჩი

სიტი: **ტრავა**-სამირ ნასრი, სერხიო აგუერო; **დისკე**-ფერნანდინიო

ნორვიჩი: ტრავა-არავინ

სუონსი-არსენალი

სუონსი: **ტრავა**-არავინ
არსენალი: **ტრავა**-ტეო უოლკოტი, მიკელ არტეტა, ალექს ოსლენ-ჩემბერლინი, აარონ რამზი, დავიდ ოსპინა, ჯეკ უილშირი, ტომას როსიკი, დენი უელბეკი

კრ.პალასი-მანჩესტერი

კრ.პალასი: **ტრავა**-პაპე სუარე, კონორ უიკემპი, ჯოელ უორდი, მარუან შამაჩი

მანჩესტერი: **ტრავა**-ანტონიო ვალენსია, ლუკ შოუ

ევერტონი-სანდერლენდი

ევერტონი: **ტრავა**-ფილ იაგიელკა, მუჰამედ ბესიჩი, სტივენ პიენარო

სანდერლენდი: **ტრავა**-იუნის კაბული, ჯონ ოში, ოლა ტოიფონენი

საუთჰემპტონი-ბორნმუთი

საუთჰემპტონი: **ტრავა**-არავინ; **დისკე**-სადიო მანე

ბორნმუთი: **ტრავა**-ლი ტომლინი, კალუმ უილსონი, ტომი ელპიკი, მაქს გრადელი, ტირიუნ მინგსი

სტოტინგემი-ასტონ ვილა

სტოტინგემი: **ტრავა**-ტომას კე-როლი, ნასერ ჩადლი, სონ პეუნგ-მინი, ალექს პირჩარდი

ასტონ ვილა: **ტრავა**-კირონ კლარკი

საბურენიო ცხრილი:

1.სიტი	10	7	1	2	24-8	22
2.არსენალი	10	7	1	2	18-8	22
3.ვესტ ჰემი	10	6	2	2	22-13	20
4.მანჩესტერი	10	6	2	2	15-8	20
5.ლესტერი	10	5	4	1	20-17	19
6.ტოტენჰემი	10	4	5	1	16-8	17
7.კრ.პალასი	10	5	0	5	12-11	15
8.საუთჰემპტონი	10	3	5	2	16-13	14
9.ლივერპული	10	3	5	2	9-11	14
10.ვესტ ბრომვიჩი	10	4	2	4	8-11	14
11.ევერტონი	10	3	4	3	13-13	13
12.სუონსი	10	3	4	3	12-12	13
13.უოტფორდი	10	3	4	3	8-10	13
14.სტოკი	10	3	3	4	9-12	12
15.ჩელსი	10	3	2	5	15-19	11
16.ნორვიჩი	10	2	3	5	14-21	9
17.ბორნმუთი	10	2	2	6	12-22	8
18.სანდერლენდი	10	1	3	6	11-19	6
19.ნიუკასლი	10	1	3	6	12-22	6
20.ასტონ ვილა	10	1	1	8	9-17	4

ესპანეთი

31.10 რეალ-ლას პალმასი	1.08	11.0	23.0
31.10 ვალენსია-ლევანტე	1.44	4.33	7.5
31.10 ვილიარეალი-სევილია	2.25	3.4	3.1
31.10 ხეტაფე-ბარსელონა	10.0	5.5	1.28
01.11 სოსიდადი-გელტა	2.75	3.2	2.6
01.11 ვიბარი-რეალი	2.15	3.4	3.3
01.11 ესპანიოლი-გრანადა	1.91	3.3	4.33
01.11 ხიხონი-მალაგა	2.3	3.2	3.2
01.11 ბეტისი-ბილბაო	3.0	3.25	2.37

ხაილი-ლას პალმასი
რეალი: **ტრავა**-ქარიმ ბენზემა, გარეთ ბელი

ლას პალმასი: **ტრავა**-ხაიკ კასტელანო

ვალენსია-ლევანტე

ვალენსია: **ტრავა**-როდრიგო მორენო, მეთიუ რიანი, აიშენ აბდენური; **დისკე**-შკოდრან მუსტაფი

ლევანტე: **ტრავა**-ივან ლოპესი, ანგელ ტრუხილი; **დისკე**-დიეგოსონი

ვილიარეალი-სევილია

ვილიარეალი: **ტრავა**-ლეო ბაპტისტაო, ადრიანი

სევილია: **ტრავა**-ბეტო, დანიელ კარიკო

ხეტაფე-ბარსელონა

ხეტაფე: **ტრავა**-ალვარო ვასკესი, ალვარო მედრანი; **დისკე**-კარლოს ვიგარაი

ბარსელონა: **ტრავა**-ლეო მესი, რაფინია; **დისკე**-ხავიერ მასკერანო

სოსიდადი-გელტა

სოსიდადი: **ტრავა**-ესტებან გრენერო

სელტა: **ტრავა**-არავინ; **დისკე**-აუგუსტო ფერნანდესი, გუსტავო კაბრალი

ვიბარი-რეალი

ვიბარი: **ტრავა**-ადრიან გონსალესი, ივან რამისი

რეალი: **ტრავა**-არავინ; **დისკე**-ტიტო

ესპანიოლი-გრანადა

ესპანიოლი: **ტრავა**-ხერარდ მორენო; **დისკე**-ვიქტორ სანჩესი

გრანადა: **ტრავა**-არავინ

ხიხონი-მალაგა

ხიხონი: **ტრავა**-ანტონიო სანაბრია; **დისკე**-ნაიო კასესი

მალაგა: **ტრავა**-მარკოს ანგელერი, ნორდინ ამრახატი

ბეტისი-ბილბაო

ბეტისი: **ტრავა**-ხორხე მოლინა, ხუან ვარგასი

ბილბაო: **ტრავა**-მიკელ რიკო

საბურენიო ცხრილი:

1.რეალი	9	6	3	0	21-3	21
2.ბარსელონა	9	7	0	2	20-12	21
3.ატლეტიკო	9	6	1	2	14-5	19
4.სელტა	9	5	3	1	18-11	18
5.ვილიარეალი	9	5	2	2	13-7	17
6.დუბოტეიო	9	3	4	2	14-11	13
7.ვიბარი	9	3	4	2	12-10	13
8.სევილია	9	3	3	3	13-12	12
9.ვალენსია	9	3	3	3	8-7	12
10.ბეტისი	9	3	3	3	9-13	12
11.ესპანიოლი	9	4	0	5	10-20	12
12.ბილბაო	9	3	2	4	13-12	11
13.ხეტაფე	9	3	1	5	10-13	10
14.რეალი	9	3	1	5	11-17	10
15.სოსიდადი	9	2	3	4	10-9	9
16.ხიხონი	9	2	3	4	10-14	9
17.მალაგა	9	2	3	4	5-7	9
18.ლას პალმასი	9	1	3	5	6-13	6
19.გრანადა	9	1	3	5	9-17	6
20.ლევანტე	9	1	3	5	6-19	6

გერმანია

31.10 აუგსბურგი-მაინი	2.45	3.4	2.8
31.10 ვერდერი-დორტმუნდი	8.0	5.0	1.36
31.10 კიოლნი-ჰოფენჰაიმი	2.05	3.6	3.4
31.10 შალკე-ნიკოლშაიდი	1.7	3.75	4.8
31.10 პერტა-გლადბახი	2.8	3.4	2.45
31.10 ვოლფსბურგი-ლევერკუზენი	2.4	3.5	2.8
01.11 შტუტგარტი-დარმშტადი	1.7	3.8	4.8
01.11 ჰამბურგი-ჰანოვერი	1.91	3.5	4.0

აუგსბურგი-მაინი

აუგსბურგი: **ტრავა**-კონსტანტინოს სტაფილიდისი, შონგ იონგ-პო

მაინი: **ტრავა**-კრისტიან კლემენსი, ჯონ კორდოზა, ფაბიან ფრეი

ვერდერი-დორტმუნდი

ვერდერი: **ტრავა**-ლევინ ოზთუნალი, ლუკა-მილან ზანდერი, არონ იოჰანსონი

დორტმუნდი: **ტრავა**-ნური შაჰინი

კიოლნი-ჰოფენჰაიმი

კიოლნი: **ტრავა**-ლენონარდო ბიტენკურტი

ჰოფენჰაიმი: **ტრავა**-სტივენ ზუბერი

შალკე-ნიკოლშაიდი

შალკე: **ტრავა**-მარკო შოგერი, მატია ნასტასიჩი, ატსუდო უჩიდა

ნიკოლშაიდი: **ტრავა**-შტეფან ლექსი, როჯერ ბერნარდო, ალმოგ კოენი

პერტა-გლადბახი

პერტა: **ტრავა**-როი ბეერენსი, ნიკლას სტარკი, ტომას კრაფტი, პეტერ პეკარიკი

გლადბახი: **ტრავა**-პატრიკ შერმანი, ნიკო შულცი, მარტინ შტრანცლი

ვოლფსბურგი: **ტრავა**-რიკარდო როდრიგესი

ლევერკუზენი: **ტრავა**-ტიმ იედვაი, ლარს ბენდერი, შტეფან კისლინგი, რობერტო პიბერტი

შტუტგარტი-დარმშტადი

შტუტგარტი: **ტრავა**-კრისტიან-გენტინერი, დანიელ გინსეკი, ფილიპ კოსტინი, რობი კრუზე

დარმშტადი: **ტრავა**-ფაბიან შოლანდი

ჰამბურგი-ჰანოვერი

ჰამბურგი: **ტრავა**-იგიკა ოლიჩი, აარონ პანტი, ემირ სპაჰიჩი, მარსელო დიასი, გოიკო კაჩარი, ანდრეას შირცელი, ნიკოლა მიულერი

ჰანოვერი: **ტრავა**-ჩარლისონ ბენშოპი, ედგარ პრიბი

საბურენიო ცხრილი:

1.ბაიერნი	10	10	0	0	33-4	30
2.დორტმუნდი	10	7	2	1	29-12	23
3.შალკე	10	6	1	3	13-12	19
4.ვოლფსბურგი	10	5	3	2	15-12	18
5.პერტა	10	5	2	3	13-10	17
6.ლევერკუზენი	10	5	2	3	12-12	17
7.გლადბახი	10	5	0	5	19-17	15
8.ნიკოლშაიდი	10	4	2	4	6-8	14
9.კიოლნი	10	4	2	4	13-17	14
10.ჰამბურგი	10	4	2	4	9-13	14
11.დარმშტადი	10	3	4	3	12-13	13
12.აინტრახტი	10	3	3	4	16-17	12
13.მაინცი	10	4	0	6	13-16	12
14.ვერდერი	10	3	1	6	10-15	10
15.ჰანოვერი	10	2	2	6	9-18	8
16.შტუტგარტი	10	2	1	7	15-23	7
17.ჰოფენჰაიმი	10	1	3	6	12-19	6
18.აუგსბურგი	10	1	2	7	9-20	5

იტალია

31.10 იუვენტუსი-ტორინო	1.55	3.6	6.0
31.10 ინტერი-რომა	2.8	3.3	2.5
01.11 ფიორენტინა-ფროზინონე	1.25	5.0	11.0
01.11 ჯენოა-ნაპოლი	4.2	3.75	1.8
01.11 უდინეზე-სასუოლო	2.1	3.2	3.3
01.11 ბოლონია-ატალანტა	2.7	3.0	2.6
01.11 კარპი-ვერონა	2.2	3.0	3.3
01.11 ლაციო-მილანი	1.95	3.25	3.75
02.11 კიევი-სამპდორია	2.05	3.1	3.6
02.11 პალერმო-ემპოლი	2.05	3.25	3.4

8.მილანი	10	5	1	4	12-15	16
9.სამპდორია	10	4	3	3	18-14	15
10.ტორინო	10	4	3	3	16-15	15
11.კიევი	10	3	3	4	13-10	12
12.იუვენტუსი	10	3	3	4	11-9	12
13.ემპოლი	10	3	2	5	11-15	11
14.პალერმო	10	3	2	5	11-15	11
15.ჯენოა	10	3	2	5	10-14	11
16.უდინეზე	10	3	2	5	10-14	11
17.ფროზინონე	10	3	1	6	8-12	10
18.ბოლონია	10	2	0	8	6-15	6
19.ვერონა	10	0	5	5	8-17	5
20.კარპი	10	1	2	7	10-23	5



TV პეტიცია TV პეტიცია

[illegible]



კინოთეატრ „კავეაში“ ჭარი ჩამოინება

სავაჭრო ცენტრ „ისტ პოინტში“ მდებარე კინოთეატრ „კავეას“ მოსაცდელში ჭარი ჩამოინება.

შემთხვევის შედეგად დაზარალებულია ერთი ქალბატონი. გავრცელებული ინფორმაციით, მას მომსახურე პერსონალმა პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა.

სავაჭრო ცენტრში ჭარის ჩამოინების მიზეზი, სავარაუდოდ, აფეთქება გახდა, რომელიც ჭერში არსებულ სავენტილაციო მილებში მოხდა.

ეკა ირემაშვილი

სამგლოვნიარო განცხადებები

ბრაიონალ დაუპაულო მამოზარის თორნიკე მაღრაქის ხსოვნას!

თორნიკე! დღეს 20 წელი შეგის-რულდება. როგორ გავიხარბდით ამ დღეს შენს ტყუპისცალ ელენესთან ერთად, მაგრამ, საუბედუროდ, ორი წელია, ჩვენთან აღარ ხარ, რასაც შენი მეგობრები ძალიან განვიცდით. გვე-როდეს, არასდროს დაგივინყებთ, ხშირად გესტუმრებით და მოგინახულებთ. ლექსი, რომელიც შენს ხსოვნას მიუძღვნენ, სწორედ იმ უბედურმა შემთხვევამ დამანერინა.



გვენატრება ყველას შენი ღიმილი, ახლაც არ მჯერა მე შენი სიკვდილის, არასდროს მინახავს შენი მოწყვნილი სახე, ახლაც არ მჯერა, რომ მკვდარი გნახე. ბოლო გაცილებდა და დიდი ტკივილი, რომ დაგინახე, დავინყე ტირილი, არ დამავინყდება შენი სიცილი, შენ დაგვიტოვე ყველას ტკივილი. ბევრი დრო გვაქვს ნატარები ერთად, მაგრამ ბოლო დღე მახსენდება ძნელად, ბევრი სურვილი დაგრა აუზდენელი, ერთ-ერთი კი იყო ყველაზე ნათელი. გამოცდიდან გამოსულს, უნდა გეთქვა სათქმელი, შენ უნდა გეთხოვა მარიამის ხელი, მაგრამ უეცრად შენ აღარ ხარ... მინდა, იცოდე, ყველას უყვარხარ... შენს საფლავს დღესაც ევლებს შუქი, ძირს დაუხრია ფერები მუქი, შენს საფლავზე ანთია სანთელი, რომელიც არის ძალიან ნათელი. ყოველი მოკითხვა და დახედვა შენი არის უსასრულო ცრემლები ჩემი. მინდა, აქ დავამთავრო ჩემი სათქმელი, მიყვარხარ და ხარ ერთადერთი.

ცოტნე კვარაცხელია

სრავლანაშული ბარათი ქიქიქო ჯიბაჰის ხსოვნისადმი

დედაჩემის უსაყვარლესო ბიძაშვილო, მწუხრის ჟამი კიდევ უფრო დაიბინდა, შენმა ნასვლამ დარდი გაგვიორმაგა. თქვენს კერაზე იენისის თვეში რომ გლოვის ზარი დაირეკა, არ დადუმებულა, ცრემლების გუბე არ დამშრალა. თბილის-სურმა ტრაგედიამ მოუშუშებელი ტკივილი დამიტოვა. ივლი-ტა ჯიბუტი, შენი საყვარელი შვილიშვილი, გააფთრებულმა სტიქიამ შეინირა, შენ კი — უიმისობის განცდამ, მონატრე-ბამ...

უკანასკნელ გზაზე დაგანვე ლოცვას, ინებოს ღმერთმა, თქვენი სულები საუფლოში შეხვდნენ ერთმანეთს. სასწაუ-ლებს ხომ თვლა არა აქვს ცასა და დედამიწას შორის. ღრმა გულისტკივილით თანავგერძობ ჩემს მონატრებულ, განსაც-დეულში მყოფ გუგული ბიცოლას, მთელ თქვენს მონაგარს: მიხეილის, მამა გიორგისა და მამუკას ოჯახებს.

სონია ჯიბუტის შვილი ნანა დარწიაშვილი

აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება, ნაღები ინტელი-გენცია, მეგობართა წრე უდიდესი გულისტკივილით იუწყე-ბიან დიდი ადამიანის, ჟურნალისტთა საერთაშორისო კავში-რის წევრის, კოლხური სტუმართმოყვარეობის ინსტიტუტის ქომაგის, კოლორიტული პიროვნების

ხარბიონ (ხათა) სალაყაიას

გარდაცვალებას და თანავგერძობენ მის შვილებსა და შვილიშვილებს.

ღერი შენგელია, ჯემალ შონია, მურმან ყოლბაია, რაფიელ კვლანტია, რაფდენ ქარდავა

შვილები თემურ, ნიკა საკანდელიძეები, რძლები ხათუ-ნა აბესაძე, ლელა მარდალავიშვილი, შვილიშვილები დიმა, გიორგი, მარიამი, ზურაბი, მულები ლამარა და მერი საკან-დელიძეები ოჯახებით, მამულები ანზორი საკანდელიძე და ამირან მიქაბერიძე ოჯახებით, დისშვილები, ძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნარბიზა ნიქოლოზის ასული ბარბენიშვილი-საკანდელიძე

პანაშვიდი: 31 ოქტომბერს, 1, 2 ნოემბერს, თბილისი, ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩა №31.

გამოსვენება: 14 საათზე, ქუთაისი, საფიჩხის ამალე-ბის ეკლესია.

სამგლოვნიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ზუმბას ჭორებს უპრესლებენ



ზუმბა:

— ძალიან საინტერესოა ერთი ასეთი ქართული სტერე-ოტიპული ფაქტი! მეტად სან-ყენია, როცა ადამიანები შენს პიროვნულ, საზოგადოებრივ და შემოქმედებით ცხოვრებას უკეთებენ შეფასებას ძალიან ზედაპირულად, თითქმის ჭო-რების დონეზე, სურვილიც არა აქვთ, რომ უფრო მეტი ინფორ-მაცია მოიპოვონ, უფრო მეტად კომპეტენტურები იყვნენ და უფრო პროფესიულ სიღრმეებ-ში შემოგედვონ! მით უმეტეს, როდესაც დღეს ამდენი საჯე-რო ინფორმაცია მოიპოვება უპ-რობლემოდ. ჩამოვწერ შესაბა-მის ბმულებსა და ვებგვერდებს. გაცენით, განსაკუთრებით ისი-ნი, ვისაც ზუმბას შემოქმედება მხოლოდ „ვაშლის გამყიდვე-ლო“ და „გამარჯობა, აფხაზე-თო, შენი“ გგონიათ.

პ.ს. პირადი შეურაცხყო-ფა შემოიღია ვაპატიო ადამია-ნებს, მაგრამ შემოქმედებისა და ცხოვრების წესის აბუზად აგდებას ვერ ვპატიობ ვერანა-ირად!

ეკა ირემაშვილი

ქართულმა პიანისტმა ნიუ იორკში გაიშარჯვა



ეკა ირემაშვილი

ახალგაზრდა ქართველ-მა პიანისტმა სანდრო წერე-თელმა ნიუ იორკში გამართულ ახალგაზრდა პიანისტთა საერ-თაშორისო ფესტივალზე გაი-შარჯვა. ეს არ არის პირველი შემთხვევა სანდრო წერეთლის ცხოვრებაში, როცა თავისი საყ-ვარელი საქმიანობით წარმა-ტებას აღწევს. მას მონაწილეო-ბა აქვს მიღებული სხვადასხვა კონკურსში და პრიზებიც არ აკლია.

როზალინ ტურევის სა-ერთაშორისო კონკურსი ახალ-გაზრდა პიანისტებისთვის მსოფლიოში ცნობილი კომპო-ზიტორის ბახის ნაწარმოებე-ბის საუკეთესო შესრულების-თვის ჩატარდა. რიგით მეოთხე კონკურსში მონაწილეობდნენ ახალბედა პიანისტები მსოფ-ლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

სანდრო წერეთელმა კონ-კურსის მესამე კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა, სა-დაც კონკურსანტების მიერ ბა-ხის პრელუდები და ფუგები



შესრულდა. მეოთხე კატეგო-რიაში ქართველმა პიანისტმა სუიტებისა და პარტიტურების შესრულებისთვის მეორე პრე-მია ჩინელ პიანისტთან ერთად გაიყო.

ქართველ კონკურსანტს კიდევ ერთი ჯილდო გადაეცა. სანდრო წერეთელი ფესტივა-ლის ორგანიზატორებმა და ჟი-ურიმ საუკეთესო პერფორმან-სისთვისაც დააჯილდოეს.

31 ოქტომბრისთვის

ასტროლოგია

1 ნოემბრისთვის

პარკი — დღეს საქმიანი კონტაქტები და ადა-მიანებთან ურთიერთობა სიამოვნებას არ მოგანი-ჭებთ. ეცადეთ, იყოთ თავშეკავებული და ფრთხილი. დიდი ტრავმების მიღების ალბათობა. **ქარა** — პრობ-ლემათა გადაჭრა გაგიჭირდებათ. ერიდეთ საქმიან ურთიერთობებსა და ემოციების გამოხატვას. **გაუპა-ბი** — კეთილისმყოფელი დღეა. საქმეების მოგვარება გაადვილდებათ. ახალი პროექტების დაწყება რეკომენდებუ-ლი არ არის. **ქირჩხი** — ბევრი საქმე დაგვიტოვდებათ. დროა, მუშაობას შეუდგეთ. სიზარმაცე კარგს არაფერს გიქადით. იყავით პრინციპული და საკუთარი თვალსაზრისი დაცავით. **ღოში** — მოულოდნელი ახალი ამბის გამო გეგმები გეცვლებათ. სასურველს რეალობად ნუ აღიქვამთ. ცხოვრებას ფხიზელი თვალით შეხედეთ. **პალწალი** — კრიტიკული და კონფლიქტური დღეა. საქმიანი კონტაქტების მოგვარების ალბათობა მცირეა. **სასწორი** — მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აუქქარებლად და საღი გონებით მიიღეთ. საქმიან შემოთავაზებებზე უარი თქვით, თორემ ფინანსურად დაზარალდებით. **ღრიანაწალი** — შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგვიმაღლებათ. უფროსობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. მნიშვნელოვანი საკითხების მოგვა-რებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. **შაჰილქოსანი** — ნებისმიერ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მიუდგეთ. კეთილისმყოფე-ლი დღეა. წარმატება გელით ყველა საქმეში. განსაკუთრებით გაგიადვილდებათ გუნდური მუშაობა. **თხის რაა** — კრიტიკული დღეა. პრობლემების გადაჭრა გაგიჭირდებათ. ერიდეთ საქმი-ან ურთიერთობებსა და ემოციების გამოხატვას. **შარწალი** — დაისვენეთ, იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. გიჯობთ, გან-მარტოვდეთ და სუფთა პაერზე გაისყიროთ. **თაჰაჰი** — მოულოდნელი ახალი ამბის გამო გეგმები გეცვლებათ. სასურ-ველს რეალობად ნუ აღიქვამთ. ცხოვრებას ფხიზელი თვალით შეხედეთ.

გისუხვებთ ბედნიეხ დღეს!

ახოსვოხი ბ

შეუღლად: 1. სანთლიდან ჩამონადე-ნი წვეტი; 2. საუნევერსიტეტო ქალაქი სან-ფრანცისკოს მახლობლად; 3. თავი-სუფლების ქანდაკების ავტორი ნიუ-იორ-კში; 4. ვულკანი ნეაპოლის მახლობლად; 6. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 8. ერთ-ერთი კონტინენტი; 11. უეცრად ამოვარ-დნილი ძლიერი ქარი; 12. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკო-სი; 17. სამი და ოთხნობიანი ცხენების დოლი; 18. მოკლე, მისასალმებელი სად-ლეგრძელო.

თარაზულად: 1. ჰაერში დაგროვი-ლი შესქელებული წყლის ორთქლი; 5. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 7. ყავის მწარმოებელი ფირმა; 10. ავადმყო-ფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი; 13. ზეთის სანთელი; 14. ფრანგი იმპრესიო-ნისტი მხატვარი; 15. სქელი მურაბა; 19. მონასტერი სტეფანწმინდას რაიონში; 20. პადაგისგან მომზადებული ტკბილეული; 21. მონასტერი კასპის რაიონში; 23. ღვი-ნის წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

კროსვორდი ა

შეუღლად: 1. პურადი; 2. ზილი; 3. ბუკინისტი; 4. დათვი; 5. „თაკვერი“; 8. კულაქი; 9. საკვიაყი; 12. ტაპირი; 14. ანხელი; 16. ავიზო.

თარაზულად: 1. პროვიზორი; 6. „კუქარაჰა“; 7. რაშკული; 9. სატივე; 10. პიკე; 11. ბარტოკი; 13. შხაბი; 15. „ფატიმა“; 17. ციურიხი; 18. მირაჟი; 19. ოფელია; 20. კონიაკი.

კროსვორდი ბ

შეუღლად: 1. ბუსტო; 2. აუდიტი; 3. „ნაფტუსია“; 4. ალპები; 6. „რედისონი“; 8. „შტურმი“; 11. ჰაბანერა; 12. გოდერძი; 16. კონკა; 17. „გიუმბი“; 18. ლუვრი.

თარაზულად: 1. „პაკარდი“; 5. „სქური“; 7. ჰანტელი; 9. ეგვიპტი; 10. ნებერი; 13. მანაინი; 14. ტარანი; 15. „სონი“; 16. სეკოია; 20. „სიტროენი“; 21. გალაქტიკა; 22. კახეთი.



გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
<http://www.opentext.ge/akhaliTarba>

31
ოქტომბრისთვის



აშშ
დოლარი
— 2.3962



ინგლისური
სტერლინგი
— 3.6655



ევრო
— 2.6502



100 რუსული
რუბლი
— 3.7086

ქართული ლარის მიმართ
უხსოვარი ვალუტების
გაცვლითი კურსი



კალენდოკოპი

არაბი მსახიობი
სელფის გამო დააკავეს



პოპულარული მსახიობი და ტელეწამყვანი აბდულ აზიზ ალ-კასარი საუდის არაბეთის სავაჭრო ცენტრში მას შემდეგ დააპატიმრეს, როდესაც მას ათეულობით თავყვანისმცემელი გოგონა გარშემო შემოეხვეა, რათა მასთან ფოტოსურათი და სელფი გადაეღო.

ალ-კასარს ფანების ჯგუფი ერ-რიადში შეხვდა, სადაც ის სამუშაო ვიზიტით იყო ჩასული.

— გამგზავრების წინ ჩემს თავყვანისმცემლებს ინტერნეტში ვკითხე, თუ რომელი იყო საუკეთესო სავაჭრო ცენტრი და მათ ალ ნაკილი მიჩნიეს. მათი რჩევა მივიღე და სოციალურ ქსელში განვავრთვე ინფორმაცია, რომ ამ სავაჭრო ცენტრში მისვლას ვაპირებდი, — აღნიშნა მსახიობმა. მისივე თქმით, ის არ მოელოდა, რომ იქ ასე ბევრი ადამიანი დახვდებოდა და ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. ვიდეოზე, რომელიც იუთუბისა და ტვიტერში გამოქვეყნდა, ასახულია, თუ როგორ შემოეხვეინენ გარშემო მსახიობს თავყვანისმცემლები, რომლებიც მასთან სურათებს ფოტოაპარატებითა და სმარტფონებით იღებდნენ. ამის შემდეგ მას უცნობმა მამაკაცმა ხელი სტაცა და გვერდით გაიყვანა.

— მივხვედი, რომ ის რელიგიური პოლიციიდან იყო და პატივისცემის ნიშნად წინააღმდეგობა არ გამიწევია, — დაამატა ალ-კასარმა.

მსახიობი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს და ახლა ის გამოძიების დასრულებას უნდა დაელოდოს. მას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და ქალებთან შეხვედრის ორგანიზებისთვის სოციალური ქსელების გამოყენებაში ედება ბრალი.



პოლი გერი
მესამე ქმარს
შორდება

ჰოლივუდურმა წყვილმა, მსახიობებმა პოლი ბერიმ და ოლივიე მარტინესმა განქორწინების თაობაზე განცხადება გააკეთეს. სასამართლოში შეტანილ სარჩელში პოლიმ „გადაუჭრელ შეუთანხმებლობაზე“ მიუთითა.

წყვილმა შესაბამისი განცხადება ორიოდე დღის წინ გამოაქვეყნა, რომელშიც წერია:

— დიდი მწუხარებით ვაცხადებთ, რომ ჩვენ განქორწინების გადაწყვეტილებამდე მივედით. ჩვენ შედგომ ცხოვრებაში ერთმანეთის მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით ვიქცეობით განმსჭვალული და მთელ ყურადღებას იმაზე გადავითქვით, რომ ჩვენი შვილი იყოს კარგად. ჩვენ ერთმანეთს სიკეთის გარდა სხვა არაფერს ვუსურვებთ.

მიმდინარე წლის აგვისტოში მას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლი ბერი აპირებდა წერტილი დაესვა მარტინესთან ურთიერთობისთვის, მეუღლის აუტანელი ხასიათის გამო, თუმცა მაშინ საქმე ოფიციალურ განქორწინებამდე არ მისულა. წყვილმა საკუთარი ურთიერთობა ოფიციალურად 2013 წლის 14 ივლისს გააფორმა. ქორწილი საფრანგეთში ბურგუნდიაში მეგობრებისა და ოჯახის წევრების ვიწრო წრეში გადაიხადეს. პოლი ბერი 1993 წლიდან 1997 წლის ჩათვლით გათხოვილი იყო ბეისბოლისტ დევიდ ჯასტისზე, ხოლო 2001-დან 2003 წლის ჩათვლით მომღერალ კერი ბენზე.



გარდასვლილთა
შორის მაიკლ
ჯექსონი ყველაზე
მაღალანაზღაურებადი

მომღერალი მაიკლ ჯექსონი, რომელიც 2009 წელს გარდაიცვალა, ზედიზედ მესამედ იკავებს პირველ ადგილს ყველაზე მდიდარი გარდაცვლილების სიაში. ამ სიას ჟურნალი ფორბსი ადგენს. გამოცემის შეფასებით, ბოლო ერთი წლის მანძილზე მომღერლის შემოსავალმა 115 მილიონი დოლარი შეადგინა. ჯექსონის გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ, მის ჩანაწერებს კვლავაც მოაქვს შემოსავალი, ისევე, როგორც შოუს მაიკლ ჯექსონ ვან-ს, რომელიც ლას-ვეგასში იმართება და რომელსაც ატარებს კომპანია, რომლის თანამფლობელი მომღერალი იყო. რეიტინგში მეორე ადგილზეა მუსიკოსი ელვის პრესლი, რომელიც 1977 წელს გარდაიცვალა. როკ-ნ-როლის მეფის შემოსავალი 55 მილიონ დოლარს შეადგენს. ამერიკელი მხატვარ-კარიკატურისტის ჩარლზ შულცის წლიურმა შემოსავალმა 40 მილიონ დოლარს მიაღწია და ამაზე განაპირობა რეიტინგში მისი მესამე ადგილზე გასვლა.

ყველაზე მდიდარი გარდაცვლილების ათეულში ასევე შევიდნენ: ბობ მარლი (21 მილიონი დოლარი), ელიზაბეტ ტეილორი (20 მილიონი), მერილინ მონრო (17 მილიონი), ჯონ ლენონი (12 მილიონი), ალბერტ აინშტეინი (11 მილიონი), პოლ უოკერი (10,5 მილიონი), ბეტი პეიჯი (10 მილიონი).

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



საფრანგეთის ჩემპიონატს უპირობო ლიდერი ჰყავს — ჰსე. პარიზული კლუბის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ფიგურა არგენტინელი ანელ დი მარიია, რომელთან ინტერვიუ უფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— ჰსე-ში გადასვლამდე ჩემპიონთა ლიგაში ბოლოს 2013-14 წლის გათამაშების ფინალში ითამაშეთ, როდესაც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელეს, ხოლო რეალმა ატლეტიკო დაამარცხა.

— ეს არასოდეს დამავინცდებოდა. ჩვენ მიერ გატანილი მესამე გოლის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ ტიტული მოვიპოვე. ფანტასტიკური შეგრძნებაა, ჩემპიონთა თასი ხელში რომ გიჭირავს, ჟრუანტელი გივლის.

მსგავსი რამ კიდევ მინდა განვიცადო.

— ჩემპიონთა ლიგაში მსესთან ერთად დაბრუნდით. მანჩესტერ იუნაიტედში გატარებული ერთი წლის განმავლობაში ეს ტურნირი გაკლდით?

— ძალიან. ჩემპიონთა ლიგა მენატრებოდა. განვლილი სეზონი ჩემთვის არცთუ იოლი იყო. სერიოზული ტრავმა მქონდა, რომლის გამო ვერ ვთამაშობდი. მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგა მოვიგე, მის მიღმა დარჩენა ძნელია.

— ახალ კლუბს შეგეუთ?

— ჰსე-ში ყველაფერი საუცხოოა. ყოველდღე სახეზე ღიმილით ვვარჯიშობ. აქ მომწონს და ახალ პარტნიორებთან

კარგი ურთიერთობა მაქვს. პარიზი მართლაც ლამაზი ქალაქია და ჩემი ოჯახიც თავს საუცხოოდ გრძნობს. ეს კი ფეხბურთზე კონცენტრირებაში მესმარება.

რაც მთავარია, მოთამაშეთა კლასი და გამარჯვების სურვილი დავინახე. ისინი თავის ამბიციებს ყოველ ვარჯიშზე და მატჩში ამტკიცებენ. მიზნები და ბრძოლის ჟინი ერთნაირი გვაქვს. ვფიქრობ, ასეთ ფეხბურთელებთან დასახულ მიზანს მივაღწევთ.

— ზლატან იბრაჰიმოვიჩის გვერდით თამაში როგორია?

— მესის, კრიშტიანუსა და რუნის გვერდით მითამაშია. ახლა შანსი მაქვს, იგივე იბრასთან ერთად გავაკეთო. სიმალის მიუხედავად, ის ძალიან მოძრავია და კარგად ირჯება. გულწრფელად გითხრათ, ამით გავოცდი. იმედია, შევთამაშდებით. ის ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია, რომელიც გუნდისთვის ბევრს აკეთებს.

— მესი ახსენეთ. მის შესახებ რას ფიქრობთ?

— ლეოს დასახასიათებლად სიტყვები არ მეყოფა. ჯილდოებისა და ფეხბურთის მიღმაც, ის საუცხოო პიროვნება და მეგობარია. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს იმის სარჯზე იბადნია, რომ თავის საქმეს სიამოვნებით აკეთებს. მოედანზეც და ცხოვრებაშიც ერთნაირია — მშვიდი და ძალიან კარგი ადამიანი. რაც მოუგია, ყველაფერს იმსახურებს.

მისეულ ჟურნალთან

ოსკარისთვის ბრძოლა დაწყებულია

ამერიკული კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს, ოსკარის მოსაპოვებლად ბრძოლა დაწყებულია. ევროპული ფილმების პრომოუშენი ლოს ანჯელესში ჩვენებების სერიას იწყებს, რათა ევროპულმა ფილმებმა მსოფლიო კინოსაპარეზე ყურადღების მიპყრობა შეძლონ.

ჩვენებებში 27 ევროპული ფილმი მონაწილეობს, მათ შორის საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე ლევან თუთბერიძის „მორია“. ფილმმა უკვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და სპეციალური ჯილდოც მიიღო სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც ეკუმენური ჟიურის პრიზი მიენიჭა.

გასულ წელს ოსკარზე საქართველომ გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ წარადგინა. მასთან ერთად ჩამონათვალში მოხვდა კიდევ ერთი ქართველი რეჟისორი ზაზა ურუშაძე ფილმით „მანდარინები“, რომელიც ოსკარზე ესტონეთმა წარადგინა. „მანდარინები“ საუკეთესო ხუთეულში აღმოჩნდა, თუმცა გამარჯვება ვერ მოიპოვა. ოსკარების დაჯილდოების რიგით 88-ე საზეიმო ცერემონიალი მომავალი წლის თებერვალში გაიმართება, მანამდე კი იმ ფილმების მოკლე ნუსხა გამოქვეყნდება, რომლებსაც ოსკარის მოპოვების რეალური შანსი ექნებათ.

ეკა ირემაშვილი




კახიხიძე ა

შეველად: 1. კათოლიკური საეკლესიო საგალობელი; 2. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 5. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 6. გადამსახადების ამკრეფი დანესებულება ძველად; 9. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 12. მხატვრის ფუნჯი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 16. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

თარაზულად: 1. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში; 6. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 9. გერმანული იმპერია; 10. სუმოსიტთა ტურნირი იაპონიაში; 11. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამეფოს ნანჩილი; 17. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი; 19. ნაკურთხი წყალი; 20. მარცვლეული მცენარე.

შეადგინა თ.კობალაშვილმა



ემოიხი

ო ფ ი ც ე რ ი
მწყობრში მდგარ ჯარისკაცებს მიმართავს:

— ვის შეუძლია ჯავშანტრანსპორტიორზე რადიოსადგურის შეკეთება?

— ბატონო ოფიცერო, რადიოსადგური ნათურებზეა თუ ნახევარგამტარებზე? — კითხულობს ერთ-ერთი ჯარისკაცი.

— განსაკუთრებით უჭკუოებისთვის ვიმეორებ, ჯავშანტრანსპორტიორზე!

შვილი დედას ურევავს:

— დედი, ქმართან კამათი მომივიდა...

— დანყნარდი, შვილო. ნუ ნერვიულობ, ადრე თუ გვიან ყველა ოჯახში ხდება კამათი, — უპასუხა დედამ.

— ვიცო, მაგრამ გვამს რა ვუყო, გვამს?

ჰომოსექსუალისტების ქორწილში:

— ახლა კი შეგიძლიათ, ერთ-ერთმა თქვენგანმა პატარძალს აკოცოს...

ჯიბის მძლოლს მოედნამდე მისვლა დაეზარა, ლერძულა ზაზი გადაჭრა და მანქანა იქვე მოაბრუნა. პატრულმა შენიშნა, გააჩერა და მძლოლს ეუბნება:

— რა, წრეზე რომ შემოგველო, თავბრუ დაგეხვეოდა და გული აგერეოდა?!

კაცი ტყეში მიდის და ხედავს, თანასოფელი მოჭრილ ხეს დააყენებს და ზომავს, მაგრამ ხე იქცევა, ისევ დააყენებს, ისევ იქცევა. თანასოფელს ეუბნება:

— დაანვინე და ისე გავზომე.

— მე სიგანეში კი არა, სიგრძეში მინდა გავზომო.

ხანში შესულს ახალგაზრდა ეკითხება:

— რატომაა, რომ ალკოჰოლი ახალგაზრდებს თავში უფარდებთ, მოხუცებს კი ფეხს ურევს?

— იმიტომ რომა ალკოჰოლი ყოველთვის სუსტ ადგის ურტყავს, გაიგეე?!

სილამაზის სალონში კაცი პირს იპარსავს და შეამჩნევს, რომ დალაქის ძალი იქვე გვერდით ზის და თვალს არ აშორებს. კაცი დალაქს ეკითხება:

— რა არის, ეს შენი ძალი რომ ხელებში მოგჩერება?

— რა და ყურს უდდის, ყურს... ძალიან უყვარს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა